# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ჭორებით ხალხის გაცდენა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 27 იანვარი, 2011 წელი.

№16 (6627)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## ჩვენი პრეზიდენტის აზრით საქართველოში თურმე ყველაზე ხარისხიანი თოვლი მოდის...



- „რეპტილიის დონის პოლიტიკოსთან მოლაპარაკებების წარმოება შეუძლებელია“.
- „ამ სიტყვებს – „მომავალ წელს – აფხაზეთში!“ მანამდე გავიმეორებ, სანამ აფხაზეთი არ დაბრუნდება“
- „საცვლები გამოფინეს და მოშარდეს მარადიულ ცეცხლთან, ეროვნული სიმბოლოების პატივისცემა ყველას ვალია“.
- „მირჩევნია დღევანდელი სიტუაცია. ოპოზიცია დასუსტდა. დღეს უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე 2007–2008 წლებში და 2009 წლის პირველ ნახევარში იყო. მე მჭირდება ისეთი ოპოზიცია, რომლის მიერ ქვეყნისათვის ჩანაცვლება, საქართველოსთვის კატასტროფული არ იქნება“.
- „2013 წლიდან ერთპიროვნული მმართველობა აღარ იქნება“.
- „პენსიები და სოციალური დახმარებები კვლავ გაიზრდება“.
- „პედაგოგებთან საუკუნო ვალში ვართ“.

② 

ტელეარხიდან ხომ „დაგვაბოლა“, ახლა ეტაპობრივად აპირებს ამის გაკეთებას

შენ არ ვარგოდე, ხელისუფლების რა ბრალია?

საპარლამენტო უმრავლესობა დადგმული შოუთი კმაყოფილია



④

## როცა პოლიციურ რეჟიმზე დამყარებული ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს...

649-გვერდიან დოკუმენტში აღწერილია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა 90 ქვეყანაში

## პროკურატურა გახდა ბიუჯეტის შემვსები სახელმწიფო სტრუქტურა ③

## რუსეთი და საქართველო „ტოჩკამდე“ მივიდნენ ⑧



## ტაიმ-აუტი ჩაქოლვის დაწყებამდე



⑤

## მალე „საირმესაც“ გაყიდიან? ④

## რა დაავადებებს არჩენს შიმშილობა? ⑨

თვალის ერთი გადავლებით

# „ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“

**მოდით, ამ წერილს ოდნავ ლიტერატურულ შესავალს გავუკეთებ.**
**დაახლოებით ისეთ შესავალს, როგორიც ნოდარ დუმბაძის რომანის „მზიანი ღამის“ ერთ-ერთმა გმირმა, „პოეტმა“ ერეკლე წიკლაურმა გაუკეთა თავისი იმ ლექსების ციკლს, რომლებიც სამგორის დიად მშენებლობას ეძღვნებოდა.**

— შვიდის ოცი წუთი იყო. მე და ჩემი მეგობრები ერთი მოხუცი მოღვაწის დაბადების დღის აღნიშვნას ვაპირებდით.

გაცხელებული აჯაფსანდალი, ცოტა ძეხვი, პური, პომიდვრის მჟავე და ნახევარი ლიტრი არაყი მაგიდაზე დავალაგე. მეგობრებს გავძახე, დროზე მოდითმეთქი და ტელევიზორი ჩავრთე.

გაგიკვირდებათ, და მიუხედავად იმისა, რომ სამშაბათი იყო, „რუსთავი-2“-ზე „ვანოს შოუ“ „გაიჩითა“.

დიახ, სწორედაც რომ „ვანოს შოუ“. ოღონდ ახალი ფორმატით, ახალი წამყვანებით და ახალი სტუმრებით.

თანაც ისეთი გრანდიოზული მასშტაბით, როგორც იმ ახალ წამყვანს ეკადრებოდა.

ეს შოუც, წინა წლებში დადგმული სხვა მსგავსი ღონისძიებების მსგავსად (მაგ: ინაუგურაცია, ანუ ახალი „წამყვანის წარდგინება“ დ.ა.შ), იმ მოხუცი მოღვაწის დაბადების დღეს მიეძღვნა.

ფრიად ვისიამოვნე. ბევრიც ვიცინე, მაგრამ...

ეჰ, ისევ ეს ოხერი „მაგრამ!“

ეს შოუ დოის დადგმული არ იყო!

არც ნიკა მემანიშვილის ბენდი უკრავდა!

სტეფანე და კახუჩელაც (უჰ, ისევ შემეშალა — კახაბერი), არ ჩანდნენ.

ერთმა ჩემმა მეგობარმა იკითხა, ავად ხომ არ არიანო. მეორემ უფრო უარესი მოსაზრება გამოთქვა: — ხელისუფლება ხომ არ შემოსწყრაო.



ნამდვილად არ ვიცოდი, თუ რატომ გაუკეთეს „იგნორი“ ამ შოუს დადგმის დროს დოის და ნიკას. არ ვიცოდი, რატომ არ „მოგვიხმობდნენ“ მისაქციელში, ბათუმში და მესტიაში დადგმულ მონიტორებთან სტეფანე და კახაბერი.

ამიტომ მორცხვად დავხარე თავი და ვთქვი: იმ საშინელმა სკანდალმა, რომელიც ლექსენსა და სტეფანეს შორის მოხდა, უკვე მთელი საქართველო შეძრა და უკვე სამთავრობო წრეებშიც გადაინაცვლა. ამიტომ სიტუაციის დარეგულირებამდე, ეს შოუ, მხოლოდ „საერთო კავკასიური“ ტელეარხის ბაზაზე გაკეთდა, ყველა „რუსთავი 2“-ის წამყვანი ჟურნალისტების დახმარებითო.

პრინციპში მართალია ეს ხალხი.

სანამ „სამი გოგო“ პარლამენტთან კარვებს დადგამს, სანამ „ქვალი“ პრეზიდენტის კანცელარიასთან საპროტესტო აქციას გამართავს, სანამ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტი მორიგ შეშფოთებას გამოთქვამს, ქართულ „შოუ ბიზნესში“, რუსეთის სპეცსამსახურების მიერ პროვოცირებული ამ დაპირისპირების გამო, სანამ გაირკვევა, თუ ვისი სახელისუფლებო კლანი გაიმარჯვებს, შოუების გარეშე ხომ ვერ დავრჩებოდით?

კარგით, ამ „ლიტერატურას“ თავი დავანებოთ და თვითონ შოუზე გადავიდეთ.

ურიგო ნამდვილად არ იყო.

არა, მთლად ისეთიც ვერა, როგორიც ნანიკოს „თეთრი“ შოუ, და არც ისე არ აგვჩუყებია გული, როგორც მაია ასათიანის „ხუთშაბათობებზე“, მაგრამ სამაგიეროდ, მართლაც კარგად ვიცინეთ (ეჰ, სატირალი რომ არ ყოფილიყო).

როსტოებიც იყვნენ, ლაბრადორებიც და „მგზავრებიც“.

იყო შეკითხვები, რომელთაგანაც ზოგიერთი პოლიტიკოსებმა დაუსვეს შოუს წამყვანს და რადგანაც იცოდნენ, რომ მათ იქ ხმამაღლა არავინ წაიკითხავდა, თავად ჩაატარეს ბრიფინგები და იქ გაახმიანეს. ზოგიერთი ჟურნალისტებმა დასვეს. მერე, რა რომ ამ „ბედნიერების“ საშუალება მხოლოდ რამდენიმე გამოცემას მიეცა (ეს არ არის პრობლემა. დანარჩენი ჟურნალისტები, ფაქტობრივად ყოველდღე სვამენ საჭირბოროტო კითხვებს, მაგრამ პასუხს არავინ არ იძლევაძ.

იყო სხვადასხვა პიარჯგუფების მიერ მოფიქრებული შეკითხვებიც, რომლებიც პედაგოგებმა, სოფლების მცხოვრებლებმა, თუ მცირე მეწარმეებმა, პირდაპირ ეთერში ზეპირად თქვეს. მერე რა, რომ ხანდახან ტექსტი ეშლებოდათ და კარგა გვარიანი ყალბი ნოტები ჟღერდა მათს ხმაში (ხომ ვამბობდი, დოი ნამდვილად აკლდა ამ შოუსაძ, მთავარია, რომ ითქვა და პასუხებიც გაეცა.

აღარ მოვყვები ყველა კითხვისა და მათზე გაცემული პასუხების ჩამოთვლას.

უკომენტაროდ მოვიყვან რამდენიმე ფრაზას, რომლებიც წამყვანის განწყობასა და შოუს მიმართულებას სრულად ახასიათებს:

**„რეპტილიის დონის პოლიტიკოსთან, მოლაპარაკებების წარმოება შეუძლებელია“.**

**„ამ სიტყვებს — „მომავალ წელს — აფხაზეთში!“ მანამდე გავიმეორებ, სანამ აფხაზეთი არ დაბრუნდება“**

**„საცვლები გამოფინეს და მოშარდეს მარადიულ ცეცხლთან, ეროვნული სიმბოლოების პატივისცემა ყველას ვალია“.**

**„მირჩევნია დღევანდელი სიტუაცია. ოპოზიცია დასუსტდა. დღეს უკეთესი მდგომარეობაა, ვიდრე 2007–2008 წლებში და 2009 წლის პირველ ნახევარში იყო. მე მჭირდება ისეთი ოპოზიცია, რომლის მიერ ქვეყნისათვის ჩანაცვლება, საქართველოსთვის კატასტროფული არ იქნება“.**

**„2013 წლიდან ერთპიროვნული მმართველობა აღარ იქნება“.**

**„პენსიები და სოციალური დახმარებები კვლავ გაიზრდება“.**

**„პედაგოგებთან საუკუნო ვალში ვართ“.**

**„საქართველო ინფლაციის მოგვარებისთვის საჭირო ბერკეტებს არ ფლობს“.**

(დიდ მადლობას ვუხდი საინფორმაციო სააგენტო „ჯეონიუსს“ მოწოდებული ინფორმაციისთვის).

მე მგონი ჩემი კომენტარი აბსოლუტურად ზედმეტია, რადგან თქვენთავადაც კარგად შეაფასებთ ამ ფრაზების ერთმანეთთან და რეალობასთან არაადეკვატურობას.

წერილს კი დავამთავრებ 25 იანვარს ჩატარებული შოუს წამყვანის მიხეილ სააკაშვილის სიტყვებით:

**„სწორედ ის კონცერტები, რომლებსაც ხშირად აკრიტიკებენ, იყო ჩვენი გზავნილი მსოფლიოსთვის“.**

**„ჰოპლა, ჩვენ ვცოცხლობთ!“**

**გია გაბრიჭიძე**

ინფორმაცია

## ტელეარხიდან ხომ „დაგვაბოლა“, ახლა ეტაპობრივად აპირებს ამის გაკეთებას

**„ქოლცენტრში“ შესულ შეკითხვებს, რომელსაც პრეზიდენტმა ტელეხიდისას ვერ უპასუხა, პასუხი ეტაპობრივად გაეცემა.**

**როგორც „ქოლცენტრში“ აცხადებენ, მოსახლეობის ყველა შეკითხვა პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურს უკვე გადაეგზავნა.**

— შეკითხვები პრეზიდენტის ადმინისტრაციის პრესსამსახურში გადავგზავნეთ და როგორც გვითხრეს, მიხეილ სააკაშვილი მათ ეტაპობრივად გაეცნობა და გასცემს პასუხს, — განმარტავენ „ქოლცენტრში“.

აღსანიშნავია, რომ ტელეხიდთან დაკავშირებით სპეციალურად პროექტისთვის „პრეზიდენტი პასუხობს ხალხს“ შექმნილ ცხელ ხაზზე სულ 15 000-მდე ზარი შევიდა. ოპერატორების თქმით, შეკითხვათა უმეტესობა სოციალურ თემას შეეხებოდა.

## შენ არ ვარგოდე, ხელისუფლების რა ბრალია?

**„ოპოზიცია იმიტომ არის სუსტი, რომ ყველა კანონი ხელისუფლებაზეა მორგებული. იმისთვის, რომ ოპოზიცია იყოს ძლიერი, სახელმწიფო პოლიტიკა უნდა შეიცვალოს“, — განუცხადა „ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის“ წარმომადგენელმა, დეპუტატმა გურამ ჩახვაძემ ჟურნალისტებს პრეზიდენტ სააკაშვილის განცხადების კომენტირებისას.**

მისივე განმარტებით, ხელისუფლებისგან განსხვავებით ოპოზიციაში არსებობენ ისეთი ადამიანები, რომელთაც მოსახლეობის პრობლემები ნამდვილად აწუხებთ და მათ გადასაჭრელად კონკრეტული გეგმებიც აქვთ.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს პრეზიდენტის შეფასებით, დღევანდელი ოპოზიცია დასუსტებულია, თუმცა ის „პარტიზანული პრინციპებით“ მოქმედ იმ ოპოზიციას, რომელიც ქვეყანას გასულ წლებში ჰყავდა, მაინც ურჩევნია. ამის შესახებ მიხეილ სააკაშვილმა ტელეკომპანია „პირველი საინფორმაციო კავკასიურის“ პირდაპირ ეთერში ერთ-ერთი მოქალაქის შეკითხვაზე პასუხის გაცემისას განაცხადა.

— ოპოზიციის სისუსტე — ეს არის პრობლემა. ორი-სამი წლის წინ გვყავდა ძალიან ძლიერი ოპოზიცია, მაგრამ იგი ძირითადად დაკავებული იყო ქვეყნისთვის ძირის გამოთხრით და იძახდა: ქვეყანას ავაფეთქებ, თუ ეს ქვეყანა არ იქნება ჩემიო. პარტიზანული პრინციპით მოქმედებდნენ. მე მირჩევნია დღევანდელი სიტუაცია, როცა ოპოზიციონერები დასუსტდნენ. ეს არის უკეთესი სიტუაცია, ვიდრე 2007 წელს, 2008 წელს და თუნდაც 2009 წლის პირველ ნახევარში, — განაცხადა სააკაშვილმა ტელეხიდის მიმდინარეობისას.

თუმცა ქვეყნის პირველმა პირმა განმარტა, რომ მას მაინც ისეთი ოპოზიცია სურს, რომლის მიერ ხელისუფლების ჩანაცვლება არ იქნება ქვეყნისთვის კატასტროფა.

## საპარლამენტო უმრავლესობა დადგმული შოუთი კმაყოფილია

**საპარლამენტო უმრავლესობა პრეზიდენტ სააკაშვილის ტელეხიდით კმაყოფილია.**

**როგორც ჟურნალისტებს აღნიშნულ საკითხზე კომენტირებისას დეპუტატმა ლაშა თორდიამ განუმარტა, საქართველოს პირველმა პირმა ქვეყნის პოლიტიკური კურსის შესახებ თავისი ხედვა ნათლად ჩამოაყალიბა.**

— ეს კურსი მდგომარეობს იმაში, რომ მდგომარეობა შევუმსუბუქოთ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელსაც ძალიან უჭირს. რაც შეეხება საგარეო პოლიტიკურ კურსს, არ არსებობს ისტორიაში არც ერთი ოკუპირებულად აღიარებული ქვეყანა, რომელიც ამ სტატუსით დიდხანს დარჩენილიყო, — განმარტა თორდიამ.

ამასთან, მოსახლეობასა და ქვეყნის პირველ პირს შორის გამართულ ტელეხიდზე კომენტარი გააკეთა უმრავლესობის კიდევ ერთმა წარმომადგენელმა ნუგზარ წიკლაურმა, რომლის შეფასებითაც, პრეზიდენტმა ძირითად ღირებულებებზე აქცენტები სწორად გააკეთა.

— მნიშვნელოვანი იყო ის, რომ მასწავლებელი უნდა იქცეს ცენტრალურ ფიგურად განათლების სისტემაში. ასევე აღინიშნა ეკონომიკური სტაბილურობისა და ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების შეუქცევადობა. ძალიან მნიშვნელოვანი იყო როგორც საქართველოს, ისე კავკასიის რეგიონის ცენტრისა და ლიდერის ფუნქციის გაფართოებისა და როლის გაზრდის აუცილებლობაზე აქცენტის გაკეთებაც, —დასძინა მან.

**ჯი-ეიჩ-ენი**




გამოძიება

## ვის ბრალდება აფეთქება შახტში?

**ტყიბულის მაღაროში მომხდარი აფეთქების გამო ორი პირი დააკავეს. ამის შესახებ პროკურატურის პრესსამსახურიდან იტყობინებიან.**

**პროკურატურის ინფორმაციით, ერთ-ერთი დაკავებული უშუალოდ მეშახტეების სამუშაო უბნის ხელმძღვანელია, ხოლო მეორე — უსაფრთხოების დაცვის უფროსის მოადგილე.**

◎ ახალი ეკონომიკური გეგმა

# ჩვენთან თურმე „მსოფლიოში ყველაზე ხარისხიანი თოვლი“ მოდის

## პროფესიონალებმა სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა დადეს

**გახდება თუ არა საქართველო ოდესმე მდიდარი ქვეყანა, აქვს კი მას ამის პოტენციალი და რესურსები?! — ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, ერთი შეხედვით, არც თუ ისე მარტივია, მაგრამ თუკი მისხალ-მისხალ შევისწავლით, რა ბუნებრივი სიმდიდრით დაგვაჯილდოვა ქართველები უფალმა, პასუხი ერთმნიშვნელოვნად ადვილია — რა თქმა უნდა, გვაქვს!!!**

გუშინ, სანამ მიხეილ სააკაშვილი მოსახლეობის შეკითხვებს უპასუხებდა და კიდევ ერთხელ უიმედობით დააიმედებდა მსმენელებს, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ ერთი მეტად მნიშვნელოვანი ნაშრომის პრეზენტაცია გაიმართა. პირველად დამოუკიდებელი საქართველოს ისტორიაში შეიქმნა პროფესიონალების მიერ დაწერილი დოკუმენტი — **„საქართველოს სოციალ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა“**. აქამდე მსგავსი სახის ფუნდამენტური ნაშრომი არ გვქონია.

მოსახლეობის მძაფრი ინტერესი — შეჩერდება თუ არა ინფლაცია და რა გეგმები აქვს მასთან დასაპირისპირებლად მთავრობას, პრეზიდენტმა თავისი ვრცელი პასუხით ვერ დააკმაყოფილა. ჩინეთში რომ მოსახლეობას შემოსავლები გაუჩნდა, ამის გამო საკვებსა და საყოფაცხოვრებო ტექნოლოგიებში ხარჯავს ფულს, რაც მსოფლიოში ფასებისა გაძვირებას იწვევს, ისეთი მიამიტური ახსნაა, რომელსაც ბავშვიც ვერ დაიჯერებს. შეიძლება ამ ლოგიკაში ჭეშმარიტების მისხალი იყოს, მაგრამ პრეზიდენტმა მის ახსნა-განმარტებას თავი ვერ გაართვა და მსმენელში ან ღიმილი გამოიწვია, ან მისდამი უზომოდ მიმდობი ადამიანები შეცდომაში შეიყვანა. ინფლაციის ასე სწრაფ ზრდას, რა თქმა უნდა, მსოფლიო სამომხმარებლო პროდუქტების გაძვირება იწვევს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა აქვს შიდა ფაქტორებს: მონეტარულ პოლიტიკას, გამეფებულ მონოპოლიას და სოფლის მეურნეობის სრულ ნგრევას.

რა ეშველება ინფლაციას? პრეზიდენტმა პასუხი ვერ გასცა, უფრო სწორად, მიანიშნა, რომ არაფერი ეშველება, იმის გარდა, რომ მოსახლეობას გაძვირებული პროდუქტის ყიდვის უნარი და შესაძლებლობა გაუჩნდეს, მაგრამ ის ვერ გვითხრა, როგორ? ვერც გვეტყოდა, რადგან, როგორ შეიძლება განვითარდეს საქართველოს ეკონომიკა, ამის დოკუმენტური ანალიზი და პროგრამა მთავრობას არა აქვს.

სწორედ ამიტომ მიიჩნიეს საჭიროდ, შექმნილიყო ასეთი დოკუმენტი და თუ მთავრობა მას მიზანშეწონილად არ მიიჩნევდა, საზოგადოებას მაინც უნდა სცოდნოდა, რა შეიძლება ეშველოს ქვეყანას და როგორც წიგნის ავტორებმა: ალექსანდრე თვალჭრელიძემ, ავთანდილ სილაგაძემ, გიული ქეშელაშვილმა და დავით გეგიამ, თითქმის ნახევარი წელი რომ იმუშავეს, აღნიშნეს: „ურთულესი ამოცანის წინაშე ვიდექით, უაღრესად მწირი ფინანსური შესაძლებლობებისა და დროის დეფიციტის პირობებში უნდა შეგვექმნა დოკუმენტი, რომლის ფორმულირება საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ექვსი წლის განმავლობაში ვერ მოახერხა. 2011 წლის დასაწყისისთვის უნდა შექმნილიყო ისეთი პროგრამა, რომელიც, მისი განხორციელების შემთხვევაში, საქართველოში მეწარმეობის, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის სწრაფ განვითარებას უზრუნველყოფდა“. ნაშრომის დაწერისას ავტორები სარგებლობდნენ უცხოელი და ქართველი ექსპერტების რეკომენდაციებით.




წიგნი იწყება იმის საკმაოდ დეტალური განხილვით, თუ რა ბუნებრივი რესურსები გააჩნია ქვეყანას, სად შეიძლება მათი მოპოვება — გამოყენება და როგორ. საუბარია მინერალურ, სათბობ-ენერგეტიკულ რესურსებზე, მეტალებზე, ქიმიურ და აგროქიმიურ, სანაკეთო ქვებსა თუ კერამიკულ რესურსებზე; მეტალურგიულ, ინერტულ, სამშენებლო მასალებზე; ეგზოგენურ ენერგორესურსებზე, სასოფლო-სამეურნეო მიწებზე, მდინარეებზე, ტბებზე, წყალსაცავებზე და ჭაობებზე. ნაშრომში მთელი თავი აქვს დათმობილი დემოგრაფიულ სურათს, მიმოხილულია მეწარმეობის ზოგადი დარგები, ფინანსურ-საკრედიტო სექტორი, ინფლაცია და მონეტარული ინსტრუმენტები, სავალუტო პოლიტიკა და საერთაშორისო რეზერვები. საკმაოდ ღრმა ანალიზია გაკეთებული იმისა, თუ როგორ შეიძლება განავითაროს ქვეყანამ თავისი ეკონომიკა და სოციალური სფერო...

ავტორების დასკვნით „საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პროგრამა ეროვნული სახსრებით უნდა განხორციელდეს. სხვა შემთხვევაში, მას იგივე ბედი ეწევა, რაც თავის დროზე ეკონომიკური ზრდისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამას. ჩვენი პროგრამა პრინციპულად ითვალისწინებს სამ ეტაპს: ეკონომიკის დაკრედიტების ეტაპს, როცა განვითარება განპირობებულია შესაბამისი ინვესტიციებით; თვითგანვითარების ეტაპს, როცა ბაზრის გაჯერება ბიზნესის ზრდის ხარჯზე ხორციელდება და მესამე, განვითარებული ეკონომიკის ეტაპს, როცა ეკონომიკური ზრდა არასამრეწველო დარგების განვითარებით არის განპირობებული.

დოკუმენტში არა მხოლოდ თეორიულად არის აღწერილი ეკონომიკური განვითარება, არამედ ყველა ანალიზს თან ერთვის ნახაზები და ცხრილები. მკითხველისთვის ეს ნაშრომი განსაკუთრებით, ალბათ იმიტომაც არის საინტერესო, რომ ეკონომისტთა გაანგარიშებით, მთავრობის მართებული პოლიტიკის შემთხვევაში, პროგნოზი საკმაოდ ოპტიმისტურია.

ავტორები ამტკიცებენ, რომ ეკონომიკური განვითარების პროპორციულად და იგივე ტემპით გაიზრდება საქართველოს ნაერთი ბიუჯეტი, რომლის მოცულობა 2030 წლისათვის 32 მილიარდი დოლარი გახდება. პროექტის განხორციელების შემთხვევაში უკვე შვიდი წლის შემდეგ განათლებაზე 4-ჯერ მეტი სახსრები იქნება მობილიზებული, ვიდრე დღეს, ჯანდაცვაზე — 4,5-ჯერ მეტი, კულტურასა და სპორტზე — 7-ჯერ მეტი, სოციალურ დაცვაზე — 7,37-ჯერ მეტი. პენსია — 6-ჯერ გაიზრდება, ერთ პენსიონერზე საშუალოდ 539 დოლარი პენსია და შემწეობა გაიცემა. განათლებისა და ჯანდაცვის მუშაკთა ხელფასი — 4-ჯერ, საჯარო მოსამსახურეების ხელფასები — 2-ჯერ გაიზრდება. ეკონომიკური ზრდის პარალელურად შეიცვლება საქრთველოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზოგადი სტრუქტურაც. 2030 წლისათვის მშპ-მა 87,5 მილიარდი აშშ დოლარი უნდა შეადგინოს, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე წლიურად — 20 ათას დოლარზე მეტი. რაც მთავარია, „ამ პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო არ იქნება დამატებითი უცხოური კრედიტებისა და გრანტების მობილიზება“.

„ეს არ არის უბრალო ეკონომიკური დოკუმენტი, ის უფრო ვრცელი და მრავლისმომცველია, — აღნიშნა პრეზენტაციაზე ლადო პაპავამ, — ეს არ არის პოლიტიკური დოკუმენტი, არამედ ქვეყანაზეა გათვლილი“.

სწორედ იმიტომ, რომ ნაშრომს პოლიტიკური ხასიათი არ ჰქონოდა, პრეზენტაციაზე შეგნებულად არ მიიწვიეს პოლიტიკური პარტიები. იქ იყვნენ ამა თუ იმ დარგის სპეციალისტები, ექსპერტები, რომლებიც აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ. სამწუხაროდ, არ იყო მთავრობის არც ერთი წარმომადგენელი, არც ელექტრონული მედია. არადა, ეს არის ქვეყნის წინსვლისა და განვითარების რეალური ხედვა, როცა არსებული რესურსების გამოყენებით, წარმატების მიღწევა შესაძლებელია. ძნელი სავარაუდოა, ხელისუფლება მსგავსი დოკუმენტით დაინტერესდეს, სამაგიეროდ, პრეზიდენტს აქვს ამბიციური და „ნოვატორული“ ოცნებები — ტურიზმი, ტურიზმი და მხოლოდ ტურიზმი, რადგან ჩვენთან თურმე ნოემბერში ბათუმის ზღვაში ბანაობა შეიძლება, ხოლო მთაში, განსაკუთრებით სვანეთში, მსოფლიოში ყველაზე ხარისხიანი თოვლი მოდის...

**თეა მოსია**

**საყურადღებო ნაშრომი ქართულ-რუსული ურთიერთობების უახლოესი ოცი წლის ისტორიის შესახებ:**

**გულბაათ რცხილაძე, გიორგი ვეკუა:**

**„რუსეთი და საქართველო: რა ხდება?“**

(ევრაზიის ინსტიტუტის გამოკვლევა, თბილისი, 2010 წ.).




პოლიტოლოგები გულბაათ რცხილაძე და გიორგი ვეკუა თავიანთ ბროშურაში დაწვრილებით აანალიზებენ საქართველოს ხელისუფალთა მხრიდან რუსეთთან ურთიერთობებში დაშვებულ უხეშ შეცდომებსა და განზრახულ პროვოკაციებს. ბროშურა ილუსტრირებულია. თბილისის ფარგლებში მისი შეძენა შეიძლება „მაცნეს“ და „პლანეტა-ფორტეს“ საგაზეთო ჯიხურებში, ისევე როგორც „პარნასის“ წიგნის მაღაზიათა ქსელსა და პეკინის ქუჩაზე მდებარე წიგნის მაღაზიაში. ბათუმსა და ქუთაისში ევრაზიის ინსტიტუტის აღნიშნული გამოკვლევა „პრეს-ექსპრესის“ სტენდებზე იყიდება. ბროშურის ფასი 50 თეთრია.

◎ ინფორმაცია

### კუზანოვი პრესას და ტელევიზიას დაუპირისპირდა

**ექიმი ივა კუზანოვი ტელეკომპანია „იმედისა“ და გაზეთ „პრაიმ ტაიმის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის უარყოფას ითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში არ გამორიცხავს, რომ საქმე სასამართლოში გაგრძელდეს.**

**როგორც გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე კუზანოვის ადვოკატმა დიმიტრი გაბუნიამ აღნიშნა, გავრცელებული ინფორმაცია ექიმის საქმიანობას ლახავს და იმ ფორმით გადმოცემული ამბავი, რა ფორმითაც მედიასაშუალებებმა ეს გააშუქეს, სიმართლეს არ შეესაბამება.**

**— კატეგორიულად მოვითხოვთ ამ ცნობების უარყოფას იმავე ფორმებით, როგორითაც ის გაავრცელეს, — აღნიშნა გაბუნიამ.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ პროკურატურა და ბიუჯეტი

# რა თანხა შედის სპეცანგარიშზე?

**სააკაშვილს ერთხელ წამოსცდა, გამომძიებლები, პროკურორები, მოსამართლეები დაკავებულებისაგან ქრთამს იღებენ, აჯობებდა თანხები ბიუჯეტში შესულიყოო.**

და მთელი ძალით ამუშავდა საპროცესო გარიგების მანქანა. გარიგება ერთნაირი წარმატებით ხდება როგორც ნარკოტიკის მომხმარებლისგან, ხულიგნისგან, ასევე მკვლელობაში ეჭვმიტანილისგან. უბრალოდ ფასებშია განსხვავება. პროკურატურა გახდა ბიუჯეტის შემვსები სახელმწიფო სტრუქტურა.

ფინანსთა მინისტრ კახა ბაინდურაშვილის განცხადებით, შარშან საპროცესო გარიგებებიდან სახელმწიფო ბიუჯეტში 30 მლნ ლარი შევიდა. როდესაც ბაინდურაშვილს შეეკითხნენ, რა გზებით ხვდება გარიგებების შედეგად თანხები ბიუჯეტშიო, მინისტრმა განმარტა, რომ საპროცესო გარიგებების შედეგად მობილიზებული თანხები პირდაპირ ბიუჯეტის ანგარიშზე არ ჯდება. სასამართლო პროცესის დასრულებამდე შესაბამისი თანხა სპეციალურ ე. წ. სატრანზიტო ანგარიშზე ხვდება, სასამართლოს შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ კი ბიუჯეტის ანგარიშზე ირიცხება.

ბაინდურაშვილისათვის უცნობია, რა რაოდენობის თანხა შედის სპეცანგარიშზე, რადგანაც ის დახურული ანგარიშია. იგი იქვე განმარტავს, რომ საპროცესო გარიგებიდან შემოსული თანხა ბიუჯეტის ანგარიშში „სხვა შემოსავლების“ კატეგორიაშია შესული.

ექსპერტთა განმარტებით გარიგებებიდან საწყის ეტაპზე, სპეციალურ ანგარიშზე შესული თანხა არ კონტროლდება. ამიტომაც არავინ იცის, რეალურად რა ფული ირიცხება ე. წ. სატრანზიტო ანგარიშზე და ნამდვილად ის რაოდენობა ირიცხება ბიუჯეტში, რაც მისთვისაა განპირობებული?

ქვეყნის № 1 ფინანსისტი განმარტავს, რომ ქვეყნის მომდევნო წლის ბიუჯეტში ძნელი განსასაზღვრია, თუ რა რაოდენობის თანხები შეიძლება შევიდეს ბიუჯეტში. ძნელია იმის წინასწარ გათვლა, რამდენ კაცს დაიჭერენ, რამდენს დააჯარიმებენ — აკონკრეტებს ბაინდურაშვილი. მისივე თქმით, ამის გამო სახელმწიფო ბიუჯეტში შესაბამისი თანხის მობილიზების სავარაუდო მაჩვენებელი ყოველთვის მოსალოდნელზე საგრძნობლად ნაკლები რაოდენობით იგეგმება.

სპეციალისტთა მოსაზრებით, გამოდის, რომ პროკურატურას ყოველი წლის დასაწყისში ეძლევა გეგმა, თუ რა რაოდენობის თანხა უნდა შეიტანოს საპროცესო გარიგებებიდან. ეს მაჩვენებელი ყოველ წელს მატულობს. პროკურორებიც სტახანოვური წესით ყოველწლიურ გეგმას გადამეტებით ასრულებენ.

**ზაზა ბილიხოძე**

## 21-ე მსოფლიო ანგარიში

# როცა პოლიციურ რეჟიმზე დამყარებული ხელისუფლება უკან დახევას არ აპირებს...

**649-გვერდიან დოკუმენტში აღწერილია ადამიანის უფლებათა მდგომარეობა 90 ქვეყანაში**

**Human Rights Watch-ის 2010 წლის ანგარიშში საქართველოს 5 გვერდი ეთმობა. თემები - აგვისტოში დაწყებული დევნილების გამოსახლება, პოლიციის მიერ ძალის გადამეტების ფაქტები, შეკრების თავისუფლების უფლების შეზღუდვა, მედიაში არსებული პრობლემები, პენიტენციალური სისტემის ხარვეზები, აგვისტოს ომის შედეგად ადამიანის უფლებების დარღვევა.**

„დევნილებთან არ უწარმოებიათ მოლაპარაკებები, დევნილებმა ვერ მიიღეს ალტერნატიული ფართი, არ იყო შეთავაზებული ადეკვატური ალტერნატივა“, – უფლებადამცველები წერენ, რომ დევნილების გამოსახლების დროს ხელისუფლებამ საერთაშორისო სტანდარტები დაარღვია.

„ცენტრიდან ძალზე დაშორებულ რეგიონში, სადაც, დევნილების განცხადებით, დასაქმების საშუალება არ არსებობს, მათთვის შეთავაზებულ საცხოვრებელ სახლებს სახურავი დაზიანებული ჰქონდათ, არ მიეწოდებოდათ ელექტროენერგია და ბუნებრივი აირი“, – ნათქვამია დასკვნაში.

არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა პრიორიტეტის“ ხელმძღვანელი ლია მუხაშავრია ამბობს, რომ Human Rights Watch დამოუკიდებელი, არასამთავრობო ორგანიზაციაა და, შესაბამისად, ობიექტური დასკვნის გამოქვეყნების მეტი საშუალება აქვს.

„ბუნებრივია, ამ ანგარიშში არ მოხვდა და ვერც მოხვდებოდა ახლა მიმდინარე გამოსახლე-



ბები, მაგრამ, რაც მათ აგვისტოში აღნუსხეს და შეაფასეს, ჩემთვის სრულიად გასაზიარებელია. ჩემი აზრით, საერთაშორისო ორგანიზაციების ჩარევამ გამოიწვია ის, რომ ეს შემზარავი პროცესი შეჩერდა. 2011 წლის იანვარში დარღვევების ხასიათი გამწვავდა: ყველაფერს, რასაც Human Rights Watch საერთაშორისო სტანდარტებად მოიხსენიებს, უნდა დავამატოთ ჩვენი კონსტიტუცია და დავინახავთ, რომ დევნილთა გამოსახლების დროს ადამიანის ფუნდამენტური უფლებები ირღვევა“, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ლია მუხაშავრიამ.

რადიო „თავისუფლებასთან“ საუბრისას Human Rights Watch-ის წარმომადგენელმა სამხრეთ კავკასიაში გიორგი გოგიამ თქვა, რომ დევნილთა გამოსახლების პროცესი მთელი რიგი სამართალდარღვევებით განხორციელდა: „დევნილები გაფრთხილებას იღებენ ძალიან მცირე დროით ადრე, მათი გადასახლება ხდება ადგილებში, სადაც, მათი განცხადებით, დასაქმების საშუალება არ არის; არ არის სოციალური ინფრასტრუქტურა, ანუ ადგილი აქვს ადამიანის უფლებათა მთელ რიგ დარღვევებს“.

დევნილების პრობლემებთან ერთად, ანგარიშში საუბარია აზრის გამოხატვის შეზღუდვისა და სამართალდამცავთა მხრიდან ძალის არაადეკვატურად გამოყენების შესახებ. ხაზგასმულია, რომ ხელისუფლების მხრიდან დღემდე არ გამოძიებულა გასულ წლებში მომხდარი ფაქტები. ეს შეეხება 2009 წლის 23 ნოემბერს პარლამენტის შენობის წინ დაკავებული სამი ახალგაზრდის საქმეს, რომლებიც ხელისუფლების პოლიტიკას აპროტესტებდნენ; 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის დარბევას და გასული წლის 19 ნოემბერს ჯორჯ ბუშის ქუჩის სახელის გადარქმევის მიზნით გამართული საპროტესტო აქციის დროს დაკავებული პირების საქმეს.

„შეკრებების თავისუფლებისა და პოლიციის ძალადობის“ თავში საუბარია 14 აგვისტოს ფაქტზე, როცა პოლიციამ მწერალი და აქტივისტი ირაკლი კაკაბაძე, ასევე, შოთა გაგარინი და ალექსი ჩიგვინაძე იმ დროს დააკავა, როცა ისინი ჯორჯ ბუშის ქუჩაზე მშვიდობიან საპროტესტო აქციას მართავდნენ. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ დახურულ მოსმენაზე მოსამართლემ მხოლოდ პოლიციის ჩვენება მოისმინა და უარი თქვა იმ ვიდეოკადრების ნახვაზე, სადაც აღბეჭდილია აღნიშნული პირების პოლიციასთან ურთიერთობა დაკავების მომენტში.

ანგარიშში, ასევე, განხილულია 2009 წლის 23 ნოემბერს დაჩი ცა-



გურიას, ჯაბა ჯიშკარიანის და ირაკლი კორძაიას დაკავების ფაქტი და ნათქვამია, რომ პროოპოზიციური ახალგაზრდების ჯგუფის წევრები იმ დროს დააკავეს, როცა ხელისუფლების პოლიტიკას პარლამენტის შენობასთან აპროტესტებდნენ.

დოკუმენტის ავტორები აღნიშნავენ, რომ ხელისუფლებამ უარი თქვა, გამოეძიებინა 2007 წლის 7 ნოემბერს პოლიციის მიერ გადამეტებული ძალის გამოყენება თბილისში მშვიდობიანი დემონსტრაციის წინააღმდეგ, რომლის შედეგადაც 500 ადამიანი დაშავდა. გამოუძიებელ ფაქტებს შორის დასახელებულია საპროტესტო აქციის მონაწილეებზე პოლიციელების შეტევა 2009 წლის 15 ივნისს და 2006 წლის მარტში მე-5 საპყრობილეში ჩატარებული ოპერაცია, რომლის შედეგადაც 7 პატიმარი გარდაიცვალა.

2010 წლის დოკუმენტში, წინამორბედის მსგავსად, ცალკე თავი ეთმობა მედიაში არსებულ პრობლემებს. თუ შევადარებთ 2009 და 2010 წლების შეფასებებს, ამ მიმართულებით დოკუმენტის შინაარსი დიდად არ შეცვლილა.

2009 წელს საერთაშორისო უფლებამდაცველები წერდნენ, რომ ბეჭდვითი მედია საქართველოში მრავალფეროვანია – ქვეყნის მასშტაბით ტელემაუწყებლობა შემოიფარგლება სახელმწიფოს საკუთრებაში მყოფი საზოგადოებრივი მაუწყებლით და ხელისუფლების მხარდამჭერი ტელეარხებით, „რუსთავი-2“-ითა და „იმედით“.

მოხსენების თანახმად, მედიის საკუთრების შესახებ გამჭვირვალობის ნაკლებობა კვლავ პრობლემად რჩებოდა. 2010 წლის შეფასება თითქმის ანალოგიურია: არის გარკვეული ბეჭდვური გამოცემები, მაგრამ ნაციონალური არხები, როგორებიც არის „რუსთავი-2“ და „იმედი“, კვლავ რჩებიან ხელისუფლების გავლენის ქვეშ. ამასთან, გაურკვეველია ამ მედიასაშუალებათა მფლობელების ვინაობა.

ანგარიშში მოყვანილია რამდენიმე რეგიონულ ჟურნალისტზე განხორციელებული ზემოქმედების ფაქტი. ცალკე აბზაცი ეთმობა 25 ივნისს ტელეკომპანია „თრიალეთის“ ჟურნალისტ ლადო ბიჭიაშვილზე პოლიციის მხრიდან თავდასხმას. ეს ფაქტი მაშინ მოხდა, როცა ის გორის ცენტრიდან სტალინის ძეგლის გადატანას იღებდა. „რვა პოლიციელი სცემდა ჟურნალისტს, მათ ჩამოართვეს ოპერატორს კამერა, რომელიც მოგვიანებით დაუბრუნეს, თუმცა გადაღებული მასალა წაშლილი იყო“, – წერია ანგარიშში.

დოკუმენტში აღნიშნულია, რომ ქართველ ჟურნალისტ ვახტანგ კომახიძეს შვეიცარიამ თავშესაფარი მისცა. იგი აცხადებდა, რომ ხელისუფლება ემუქრებოდა.

„მუქარა მას შემდეგ გახდა ინტენსიური, რაც კომახიძემ 2008 წლის აგვისტოს ომის შესახებ ფილმზე მუშაობა დაიწყო“, – აღნიშნავენ ანგარიშის ავტორები.

აქვე საუბარია გაზეთების – „გურია ნიუსის“ და „ბათუმელების“ ჟურნალისტებზე ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან ზეწოლის ფაქტებზე.

ჟურნალისტი ნინია კაკაბაძე 2010 წლის ანგარიშის ძირითად დებულებებს გაეცნო და მედიის თავში მოცემულ დებულებებს იზიარებს.

„ინტერპრესნიუსის“ კითხვაზე, შესაძლოა, თუ არა მსგავსი ანგარიშები ხელისუფლებისთვის სიგნალი გახდეს ქვეყანაში მედიის მიმართულებით, ჟურნალისტმა თქვა, რომ ამ ეტაპზე მსგავსი შეფასებები საქართველოს ხელისუფლებაზე არანაირ ზეგავლენას არ ახდენს.

„თუმცა წარმოუდგენელია, რაღაც დროს და რაღაც ეტაპზე ამან არ მოახდინოს გავლენა და ხელისუფლება არ აიძულოს, ხელი გაუშვას მედიასაშუალებებს“, – დაამატა კაკაბაძემ.

Human Rights Watch ანგარიშში საქართველოს პენიტენციალურ სისტემაში არსებულ პრობლემებსაც უთმობს ყურადღებას. 2009 წელს ორგანიზაცია წერდა, რომ მიუხედავად ახალი ციხეების მშენებლობისა და პრეზიდენტის მიერ გამოცემული რამდენიმე შეწყალების აქტისა, ციხეებში „გადატვირთულობასთან დაკავშირებული პრობლემა კვლავ რჩება“.

„მართალია ოფიციალური სტატისტიკა გვიჩვენებს აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის რაოდენობის შემცირებას, მაგრამ პატიმართა საერთო რაოდენობამ 2009 წლის ივნისისთვის 19 504-ს მიაღწია, რაც 2006 წელთან შედარებით 50%-იან ზრდას წარმოადგენს. აღნიშნულ ზრდას დიდ წილად ხელი საპატიმრო სასჯელების შეკრებითობის პრინციპმა შეუწყო“, – ნათქვამი იყო მოხსენებაში.

წლევანდელ ანგარიშშიც ნათქვამია, რომ მთავარ პრობლემად რჩება გადავსებული ციხეები, რის მიზეზად დასახელებულია ის, რომ საკმაოდ იშვიათია მოსამართლეების მხრიდან გამამართლებელი განაჩენები.

არასამთავრობო ორგანიზაციის „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ ხელმძღვანელი ნანა კაკაბაძე ფიქრობს, რომ ავტორიტეტული ორგანიზაციის შეფასება საქართველოს ხელისუფლების საერთაშორისო იმიჯზე სერიოზულ უარყოფით გავლენას მოახდენს.

„ის, რომ მითებითა და პიარაქციებით ცდილობენ ხალხს და მთელ მსოფლიოს ესაუბრონ, ცხადია. თუმცა, მსგავსი ანგარიშები მათ ამ მითებს უნგრევს და რეალობას ყველასთვის ააშკარავებს. მართალია, ხელისუფლება იძულებული შეიქმნება, ასეთ დოკუმენტებზე რეაგირება მოახდინოს, თუმცა ჯერ პოლიციურ რეჟიმზე დაფუძნებული ხელისუფლება თავის და-



ცულად გრძნობს და უკან დახევას არც აპირებს. მაგრამ ამგვარი დასკვნებით ის დასავლეთში მხარდაჭერას კარგავს“, – აღნიშნა ნანა კაკაბაძემ.

**მალხაზ ჭკადუა.**
„ინტერპრესნიუსი“

## ინფორმაცია

### მალე „საირმესაც“ გაყიდიან

მთავრობა შპს „კურორტი საირმის“ გასხვისებას გეგმავს. უკვე ნაპოვნია სათანადო ინვესტორიც.

„საირმის განვითარების კომპანია“ „კურორტი საირმის“ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული 100 % წილის მფლობელი გახდება, რაშიც 60 ათას ლარს გადაიხდის. კურორტს სრული რეაბილიტაციისათვის ინვესტორი 10 მლნ. ლარის ინვესტირებას გეგმავს.

სახელმწიფოსა და ინვესტორს შორის წინასწარი მოლაპარაკების საფუძველზე, „საირმის განვითარების კომპანია“ ვალდებული იქნება კურორტის რეაბილიტაცია 2012 წლის ბოლომდე ეტაპობრივად განახორციელოს.

ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორების შემდეგ „საირმის განვითარების კომპანია“ ვალდებული იქნება ასევე საირმის მინერალური წყლით სარგებლობის დამოუკიდებელი და შეუფერხებელი მიწოდების უზრუნველყოფად საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოაწყოს.

### ზემო და ქვემო ქვითელები კომპენსაციას ითხოვენ

გორის რაიონის სოფლების, ქვემო და ზემო ქვითის მოსახლეობა ხელისუფლებისგან კომპენსაციას ითხოვს.

აღნიშნულის მოთხოვნით გორელები თბილისში ჩამოვიდნენ და სახელმწიფო კანცელარიაში შესაბამისი განცხადება შეიტანეს.

როგორც ქვითის მაცხოვრებლებმა განაცხადეს, სოფლები ადმინისტრაციული საზღვრის განაპირა მდებარეობს და მათ გარკვეულ ნაწილზე ოკუპანტები არიან განთავსებულნი.

— იმ სასოფლო-სამეურნეო მიწაზე, რომლებსაც აქამდე ვამუშავებდით, ახლა ოკუპანტები დგანან და მუშაობის საშუალებას არ გვაძლევენ. საქართველოს ხელისუფლებისგან მოვითხოვთ, მოგვცენ შესაბამისი კომპენსაცია და მოგვიგვაროს სარწყავი წყლის პრობლემა, რათა საცხოვრებელი სახლების ახლომახლო ბოსტნის გაკეთება მაინც შევძლოთ, — აცხადებენ ქვემო და ზემო ქვითის მაცხოვრებლები.

ამასთან მათ ეჭვი აქვთ, რომ „ზოგიერთი ადამიანი“ პრეზიდენტს მათი გაჭირვების შესახებ სათანადო ინფორმაციას არ აწვდის, რის გამოც საზღვრისპირა ამ სოფლებში მაცხოვრებლების იგნორირება ხდება.

### ზოგს ბინებიდან ყრიან, ზოგს ბინებს უკანონებენ

დევნილებისთვის საცხოვრებელი ფართის დაკანონება გრძელდება. გუშინ საკუთრების დამადასტურებელი მოწმობა თბილისში, ბერიაშვილის ქუჩაზე მცხოვრებმა აფხაზეთიდან დევნილებმა მიიღეს. საჯარო რეესტრიდან ამონაწერი მათ მინისტრმა კობა სუბელიანმა გადასცა.

ბერიაშვილის №6-ში, ყოფილი „თეატრონის“ შენობაში აფხაზეთიდან დევნილი 99 ოჯახი ცხოვრობს. იძულებით გადაადგილებულ პირებს საცხოვრებელი ფართი საკუთრებაში პრეზიდენტის განკარგულების საფუძველზე გადაეცათ. აღნიშნულ ობიექტზე ასევე გაკეთდა ელექტროენერგიის ინდივიდუალური გამრიცხველიანება, მოწესრიგდა წყალ-კანალიზაცია და დაგეგმილია ბუნებრივი აირის შეყვანა.

ამ ეტაპისთვის, საქართველოს მასშტაბით საცხოვრებელი ფართი 22 000-მდე დევნილ ოჯახს (70 000-მდე ადამიანი) დაუკანონდა. თბილისში დაკანონებულია 177 საცხოვრებელი ობიექტი, რეგიონებში კი 343. რეგიონებში დევნილთა განსახლების პროცესი 2011 წელსაც გაგრძელდება.

ჯი-ეიჩ-ენი

## გლობუსი

# თავის ქება – კიტრაძაო...

**ამ დღეზე მეტია ტუნისის ამბები მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია, ისინი დროებით გადაფარა ჩინეთის პრეზიდენტის სახელმწიფო ვიზიტმა აშშ-ში, რაც არ არის გასაკვირი. მსოფლიოს პოლიტიკურ-ეკონომიკური წრეები დიდ ყურადღებას იჩენდნენ ორი სუპერ სახელმწიფოს მოლაპარაკებებისადმი. მათ შეთანხმებაზე ბევრია დამოკიდებული, როგორც მსოფლიო საფინანსო კონიუნქტურის, ისე ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით. აშშ-სა და კომუნისტურ ჩინეთს შორის კარგა ხანია მიმდინარეობს ფინანსური და სავაჭრო ომი.**

აშშ ჩინეთს ადანაშაულებს იუანის მანიპულაციაში, იგივეს ამბობს პეკინი ვაშინგტონის მიმართ. მიუხედავად გარეგნული სიმშვიდისა, საკამათო საკითხები საკამათოდ დარჩა, რაც შეეხება ობამას ადმინისტრაციის პრეტენზიას – ჩინეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის გამო, სტუმარმა ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე განაცხადა, რომ ამ დარგში ჩინეთმა ბევრი გააკეთა, მაგრამ გასაკეთებელი საკმაოა. საერთოდ უნდა ითქვას, რომ ჩინელ მაღალჩინოსანთა თავშეკავებული, ბალანსირებული განცხადებები, დაცლილი ყოველგვარი ემოციისაგან, ყოყოჩობისგან, თავის ქების ან მართლებისაგან. ეს ჭკუის სასწავლებლად გამოდგება საქართველოს ხელისუფლებისთვის. – თვალი გადავავლოთ ჩინეთის პრეზიდენტის ვიზიტამდე გამართულ სააკაშვილის ყოფნას ვაშინგტონში – მისთვის დამახასიათებელი ტყუილებით, სიყოყოჩით, თავის ქებით, თავხედობით.

არა მარტო ჩინეთის ხელისუფალთათვის არის დამახასიათებელი სიდინჯე, თავშეკავებულობა, აწონილ-დაწონილი ლაპარაკი, არამედ სხვა ქვეყნების პოლიტიკოსებისთვისაც. გამონაკლისი ჩვენ ვართ. თუმცა პოლიტიკური კულტურის დეფიციტი ნაკლებად აწუხებს ქართულ მხარეს და მის მაქებარ ჟურნალისტიკას, რომელიც მარტივ პოლიტიკურ გაუთვითცნობიერებლობას, რასაც სისტემატურად ამჟღავნებს სააკაშვილი, გენიალურად უხატავს საქართველოს მოსახლეობას.

პროტოკოლის თვალსაზრისით ჩინელ სტუმრებს ისეთი მასპინძლობა არგუნა მასპინძელმა, თვით მისი განცხადებით კარგა ხანია მსგავსი დახვედრა არც ერთ სახელმწიფო მეთაურს არ ჰქონია. **გიგანტი ჩინეთის პატარა საქართველოსთან შედარება არასერიოზული საქმეა, თუმცა საერთაშორისო პროტოკოლის მიხედვით დიდი და პატარა ქვეყნის მეთაურის მასპინძლობა ზომა-წონით არ განისაზღვრება. რასაც პროტოკოლი ითვალისწინებს – ვიზიტის მნიშვნელობაა, ცხადია ორივე ქვეყნისთვის და არა ლიდერებისთვის. ქვეყნებს შორის ურთიერთობათა განვითარებაში დიდი მნიშვნელობა აქვს ვიზიტებს, როგორც სახელმწიფოს, ისე ოფიციალურს, საქმიანს, ასეთი ვიზიტები წინასწარ მზადდება, წინასწარ თანხმდება მხარეთა შორის ერთი შეხედვით უმნიშვნელო დეტალებიც. 2004 წლიდან დაწყებული საქართველოს პირველი პირის დამოკიდებულება საზღვარგარეთ ვიზიტებისადმი ისეთივე ზედაპირულ-ქარაფშუტულია, როგორც მისი პრეზიდენტობანა. რაც შეურაცხყოფს არა მარტო მას, რაც ნაკლებ სადარდებელია, არამედ ქვეყანას. საერთაშორისო არენაზე შემთხვევით არ არის დამკვიდრებული ტერმინი „პირველი პირი“, „პირველი ლედი“. „პირველობას“ უსწორდება ქვეყანა. „პირველების“ ცოდნიდან, განათლებიდან, ქცევიდან, ტაქტიდან, გარეგნობიდან, ტანსაცმლიდან, კულტურიდან სხვა თვისებებიდან გამომდინარე მსჯელობენ ქვეყანაზე. ქართველი პოლიტიკოსები, მათ შორის პრეზიდენტიც, რიგითი მოქალაქეები რომ იყვნენ, თავისუფლად შეეძლებათ უცხოეთში ხეტიალის დროს მეძავეებთან კონტაქტიც, ჭრელა-ჭრულა ტანსაცმლით ბარებსა და რესტორნებში ყოფნაც, სხვა ადამიანური ცდუნებების გაზიარებაც, მაგრამ პოლიტიკოსობა, მით უმეტეს პრეზიდენტობა, თავშეკავებას მოითხოვს. და არა მარტო ქცევაში, არამედ ლაპარაკშიც.**



საქართველოს პოლიტიკოსთა ქცევაში თვალშისაცემია გამომწვევი მოქმედება. სხვას ვერაფერს დაარქმევ სააკაშვილის დაუპატიჟებელ მიჭრას სარკოზისთან, იანუკოვიჩთან, საერთაშორისო სამიტების დროს ამა თუ იმ ქვეყნის მეთაურთან – გახსოვთ ალბათ პუტინის ლიფტთან გამოჭერა. სააკაშვილისთვის არავითარ უხერხულობას არ ქმნის რომელიმე ქვეყანაში ჩასვლა და იქ ყურყუტი მაღალ დონეზე შეხვედრისათვის. სააკაშვილისთვის უცხოა ვიზიტის წინასწარ დაგეგმვა, სასაუბრო საკითხების წინასწარ მომზადება, მოპირდაპირე მხარესთან შეთანხმება. ის საკუთარი სუმბურული დღის წესრიგიდან გამომდინარე მიიჩნევს, რომ ყველა ასეა. გასულ წელს საერთაშორისო კონფერენციაში მონაწილე სააკაშვილი ერთი თვის განმავლობაში ჯიქურ უტევდა აშშ-ის ადმინისტრაციას ობამას რომ შეხვედროდა, თუმცა უშედეგოდ. მერე რა? ისწავლა ჭკუა? პირიქით, პირადი გააქტიურების გარდა გააააქტიურა ამერიკული PR კომპანიების დაფინანსება. შედეგიც სახეზეა – თვენახევარში ორი შეხვედრა, არასრულყოფილი, მაგრამ მაინც ორივე მხარე ირწმუნება გამართული საუბრის შესახებ, საკითხებიც ჩამოთვალა რაზეც. შეხვედრას ქვეყნისათვის არაფერი მოუტანია, პირადად სააკაშვილისთვის – ბევრი რამ, უპირველესად საკუთარი სამწყემსოს თვალში აშშ-ის პრეზიდენტთან ლაპარაკის პრესტიჟულობა. საკუთარი პერსონის განდიდებას ემსახურებოდა ერთ-ერთ ინსტიტუტში გამოსვლაც – ჩვეული თავის ქებით, ყოყოჩობით, ტყუილებით. საქართველოს რომ იმდენი თავსაქებარი ჰქონდეს, როგორც ჩინეთს, მაშინ ენახათ ამერიკელებს სააკაშვილის ტრაბახი. ნათქვამიდან, განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია დსთ-ის ქვეყნების დედაქალაქების ქუჩებში მოსიარულე ხალხის საქართველოს წარმატებულ გარდაქმნებზე ლაპარაკი.

**ასე იქნებოდა თავს ტუნისის პრეზიდენტიც, განსაკუთრებით ტურიზმის დარგში. სააკაშვილისგან განსხვავებით მას თავსაქებარიც ჰქონდა. ტუნისი ერთ-ერთ წარმატებულ ტურისტულ ქვეყნად ითვლება, თუმცა მან ქვეყანა ვერ იხსნა შიმშილისგან.** ტუნისის სახალხო დუღილის ტემპერატურა იმდენად მაღალია, რომ მისი ჩაცხრობა ჭირს, მიუხედავად პრეზიდენტის ჩამოგდებისა, მისი ნათესავების დაჭერისა, ძველი მთავრობის გაძევებისა. ტუნისელებმა შეძლეს ლიდერის გარეშე რევოლუციის განხორციელება. მანქანებიც დაწვეს, მაღაზიის ვიტრინებიც ჩაამსხვრიეს, სახელმწიფო დაწესებულებებიც დაარბიეს, ისე, როგორც ამას წინათ ფრანგებმა, ინგლისელებმა, სხვებმა. მათ თავშიც არ მოსვლიათ ეთქვათ ისეთი, რაც ქართველმა თქვა – 200 000-სი ვიყავით, მაგრამ ხიდან ფოთოლიც კი არ ჩამოვარდნილაო. ქართული საზოგადოების „აკადემიზმი“ თვითდარწმუნებას მატებს სამარადისო მმართველობისთვის მოსულ ხელისუფლებას, გარდა ამისა, ის ფულს არ ზოგავს მომხრეთა რიგების განსამტკიცებლად. ათეულ ათასობით ლარი იხარჯება სახელმწიფო მოხელეთა სურვილების დასაკმაყოფილებლად მარტო ხელფასების, დანამატების, პრემიების სახით. სახელმწიფო კორუფცია ისეთივე თვალშისაცემია, როგორც სხვა რამ, თუნდაც ფასების კატასტროფული მატება ყველაფერზე, მათ შორის კვების პროდუქტებზე.

**ხელისუფლებამ მოახერხა არა მარტო მეხოტბე ექსპერტთა, პოლიტოლოგთა, ჟურნალისტთა, შოუმენთა, მოცეკავე-მომღერალთა გუნდის, არამედ „დემოკრატიულობისათვის“ საჭირო მოჩვენებითი კრიტიკოსთა ჯგუფების შექმნაც. და არის ერთი ჟივილ-ხივილი მასმედიაში სააკაშვილის ნებისმიერ უცხოურ ვოიაჟთან დაკავშირებით. როგორ არ ნათლავენ მას – სახელმწიფოდ, ოფიციალურად, საქმიანად. ქართული მედიის ზერელე დამოკიდებულებას, შესაძლოა უცოდინარობასაც უნდა მიეწეროს კერძო ვიზიტების ოფიციალურად მონათვლა. ასეთად ინათლება არა მარტო პრეზიდენტის, არამედ ხელისუფლების ნებისმიერი წარმომადგენლის უცხოეთში გამგზავრება. სულ ახლახანს ტელეკომპანიები გვატყობინებდნენ რეგიონული განვითარების მინისტრის „ოფიციალური“ ვიზიტის შესახებ აშშ. „ოფიციალური“ რიგით მინისტრზე არ იხმარება, ასეთის გამოყენება მხოლოდ საგარეო საქმეთა მინისტრის, პრემიერ-მინისტრის, პარლამენტის სპიკერისა და პრეზიდენტის ვიზიტის დროს შეიძლება და ისიც იმ შემთხვევაში, თუ ვიზიტი მართლაც ოფიციალურია და არა სალაღობო გასეირნება, რასაც ხშირად აქვს ადგილი.**

მოწოდების სიმაღლეზეა მოჩვენებითი კრიტიკაც. ისეთი, ხალხს რომ აძინებს, ისედაც მიძინებულს და იმედგადაწურულს. მისი არსი შემდეგშია – თქვენ იძინეთ, მშვიდად იყავით, მას თქვენს გარეშე წაიყვანენ, თქვენი მიტინგების და მანიფესტაციების გარეშე. ზოგიერთი პოლიტოლოგი ისე დარწმუნებულია თავის ტყუილში, ჩვენი პრეზიდენტის სხვაგან წაყვანის დროსაც ასახელებს. არავინ წერს სად მიჰყავთ სააკაშვილი, აშშ-ის საჯარო სამსახურში, საერთაშორისო ორგანიზაციებში თუ სად. თუ სამსახურზეა ლაპარაკი, მაშინ აჯობებდა სიტყვა „წაყვანის“ ნაცვლად „გადაყვანის“ გამოყენება, მაგრამ რამდენად შესაძლებელია საბჭოთა კავშირის პერიოდისათვის დამახასიათებელი, რესპუბლიკების ხელმძღვანელთა გადაყვან-გადმოყვანის მსგავსი როტაცია თანამედროვე ვითარებაში? ზოგიერთთა სამწუხაროდ უნდა ვთქვათ, რომ საქართველო ინგლისურად ჯორჯიად იწოდება, თუმცა მას ამერიკულ ჯორჯიასთან ერთი მარტივი რამ ანსხვავებს – ის ჯორჯია შტატია, საქართველო, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს, ჯერჯერობით „დამოუკიდებელი“ ქვეყანაა. პრეზიდენტობის ძალით თუ ნებით დასრულების შემდეგ ყოფილის, განსაკუთრებით სამშობლოში შერისხულის სხვა ქვეყანაში რაიმე სამსახურში გამოყენებას ჯერ ადგილი არ ჰქონია, არათუ გამოყენება, ეჭვქვეშ დგება მისი ქვეყანაში შეშვებაც. ასე იყო ამჯერადაც ტუნისის პრეზიდენტ ბენ ალისთან დაკავშირებით. მიუხედავად მისი თხოვნისა ის საფრანგეთმა არ მიიღო და რომ არა საუდის არაბეთი, არავინ იცის სად იქნებოდა ბენ ალია და მისი ოჯახი. პოლიტიკაში დაუწერელი კანონებია – მისაღები ხარ მაშინ, როდესაც სავარძელში ხარ. უთანამდებობოდ დარჩენილი პოლიტიკოსი რიგითი მოქალაქეა, კერძო პირია.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
**პოლიტოლოგი.**

## სამარშრუტო ტაქსების ფრონტი

# ტაიმ-აუტი ჩაქოლვის დაწყებამდე

**იმ დროს, როცა თბილისის მერიის კულუარებში ლამის ხელჩართული ბრძოლა იმართება ხოლმე პერმანენტულად იმის თაობაზე, თუ ვინ უნდა დაეპატრონოს ბოლოს და ბოლოს საზოგადოებრივი ტრანსპორტის ისეთ მსუყე ლუკმას, როგორიცაა სამარშრუტო ტაქსები, რის მიზეზად ყველა სავარძელს მორგებული დედაქალაქის ჯანდაცვის სამმართველოს ყოფილი უფროსის, ჯანდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილის, რესპუბლიკის ყოფილი მთავარი სანიტარიული ექიმის, ამჟამად არასამთავრობო ორგანიზაციის „დაცული მოძრაობის“ შეფი, თან ახალი ტელეგადაცემის ტელეწამყვანი (?!) ბატონი დავით მესხიშვილი „სამარშრუტო ტაქსების ავტოპარკის მოძველებულობას“ ასახელებს, დედაქალაქის ხელისუფლება სხვა გზით მიდის.**

„სრ“ უკვე რამდენჯერმე წერდა იმის თაობაზე, რომ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო კარგა ხანია მოლაპარაკებებს აწარმოებს ამერიკელ მწარმოებლებთან სახელისუფლებო ავტოპარკის შერეული ბენზო და ელექტრომობილებით ჩანაცვლების თაობაზე, თუმცა ამ თაობის ელექტრომობილების გამოყენების მიზანშეწონილობაში, როგორც ამას გაზეთის ფურცლებზე აღვნიშნავდით კიდეც, ეჭვი თავად ამერიკელ მწარმოებლებსაც კი ეპარებათ. მაგრამ ამას ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, თუკი ის მანქანები ჩამოყვანიდან ერთ თვეში კახეთის სიმბოლური ცხოველებივით ურჩად გაჩერდებიან გზაზე და დაძვრას აღარ იკადრებენ, „დიდჰალსტუხიანი“ გოგო-ბიჭები ისევ თავიანთ სამოთახიანი ბინებივით ჯიპების საჭეებს გულდამშვიდებით მიუსხდებიან, დახარჯული თანხა კი „წარუმატებელი ექსპერიმენტის“, ან რაღაც მსგავსი გრაფით ჩამოიწერება.

კარგი, ვთქვათ, საქართველოში ჰიბრიდული ავტომობილების ბედი, ჯერჯერობით მაინც ბურუსითაა მოცული. სხვაგან თუ ხდება მაინც რაიმე საინტერესო ამ სფეროში? თქვენ წარმოიდგინეთ, ბატონებო, თურმე



სასიკეთო რამეები ხდება. კერძოდ, პარიზის ხელისუფლებას გადაწყვეტილი აქვს წლეულს ივნისიდან დედაქალაქში ჰიბრიდული ელექტრომობილების გაქირავების ძსელი აამოქმედოს. საქმეს თავდაპირველად სატესტო რეჟიმში დაიწყებენ, სრული მასშტაბით კი გაქირავების სისტემა შემოდგომიდან ამოქმედდება. ელექტრომობილის დაქირავება დამქირავებელს ყოველთვიურად 15 ევრო დაუჯდება – ეს ერთგვარი წინასწარი შესატანი თანხაა, ხოლო ელექტრომობილით სარგებლობის ერთი საათი 10 ევრო ეღირება.

იხ. 6 გვ.

◉ სამარშრუტო ტაქსების ფრონტი

# ტაიმ-აუტი ჩაქოლვის დაწყებამდე



(მეხუთე გვერდიდან)

პარიზში დაგეგმილია 700 ელექტროგასამართი სადგურის მოწყობა, რომელიც, ამავდროულად, გამქირავებელი პუნქტის ფუნქციასაც შეასრულებს. გარდა აღნიშნულისა, საგულისხმოა, რომ ელექტრომობილების გაქირავებას პარიზში მოქმედი ჰიბრიდული და ჩვეულებრივი ავტომობილების გამქირავებელი პუნქტი „აუტოლიბიც“ შეითავსებს. ელექტრომობილების დაქირავების მსურველთა რიცხოვნობის გასაზრდელად, პარიზის ხელისუფლება მათ პარკინგისთვის გარანტირებულ ადგილებს ჰპირდება, რაც მანქანებით გადაჭედილ მეგაპოლისში უდიდესი შეღავათია. ყველაზე მთავარი მომენტი მაინც ის არის, რომ **ელექტრომობილის დაქირავება კაცს საკუთარი ჩვეულებრივი ავტომანქანის შენახვაზე, მით უმეტეს ტაქსით გადაადგილებაზე გაცილებით იაფი დაუჯდება.** გეგმის თანახმად, თავდაპირველად პარიზის ქუჩებში 3 ათასი ელექტრომობილი იმოძრავებს, რაც დედაქალაქის ჰაერს ყოველწლიურად 20 ათას ტონაზე მეტი ნახშირორჟანგისაგან გაათავისუფლებს (!!ძ.

ახლა კი მაინც, რომ იტყვიან, ისევ ჩვენს ცხვარს დავუბრუნდეთ. სამარშრუტო ტაქსებთან დაკავშირებული მთელი არეულობა და დავიდარაბა სულაც არ არის ახალი ამბავი, რაც ყველამ კარგად ვიცით. თავშივე ვიტყვით, რომ თბილისის სამარშრუტო ტაქსების ავტოპარკს მნიშვნელოვანი განახლება და მოძრაობის მხრივ მძღოლთა მიმართ მოთხოვნათა გამკაცრება რომაა აუცილებელი, ეს ამბავი ეჭვს არავისში არ იწვევს, რის შესახებ „სრ“-ში არაერთგზის დაწერილა კიდეც.

თავად ტაქსების irგვლივ ატეხილი აჟიოტაჟის ისტორიას თუ გავიხსენებთ, თავდაპირველად ყველაფერი იმით დაიწყო, რომ „ყვითელი“ ავტობუსების ჯერ მთლიანი რიცხოვნობა შეამცირეს, თანაც მარშრუტები ისე დაუმოკლეს, რომ ქალაქის ერთიდან მეორე, გვერდით უბანში გადასასვლელად, კაცს ხშირად ერთი ტრანსპორტი არ ჰყოფნის, შესაბამისად, ცხადია, დროც მეტი იხარჯება და მგზავრობაც უფრო ძვირი ჯდება. ამ „სიკეთეს“ მეორეც „წამოეწია“ — ერთი მგზავრობის ფასმა ერთბაშად 25 პროცენტით მოიმატა, რაც „საწვავის გაძვირებით“ აგვიხსნეს „სამადაშვილელებმა“, თუმცა რომელ საწვავს ხმარობს მეტრო, რომლის მგზავრობამაც 50 თეთრამდე მოიმატა, თავად მწერალი ზაალ სამადაშვილიც ვერ ხსნის.

ამრიგად, სადღეისოდ, დედაქალაქში მოქალაქეთა გადაადგილება გაცილებით ძვირადღირებულია და გაცილებით უფრო დისკომფორტული, რისთვისაც მადლობა თავადაც იცით ვის. ხოლო თუ ვინმემ არ იცის, განვუმარტავ, რომ სწორედ იმას, ვინც ყველაფერ ამას „რეფორმა“ დაარქვა, რათა გაღმელ ძიებთან კიდევ ერთი ქულა ჩაიწეროს. მართალია, საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურებით მოსახლეობის კმაყოფილება-უკმაყოფილება დედაქალაქის მამებად დარქმეულებს ცალ ფეხზეც არ ჰკიდიათ, მაგრამ, მოგეხსენებათ, ისტორიას ჩაბარდა „რკინის ფარდის“ დრო, როცა უკმაყოფილოებს თავიანთი უკმაყოფილების გამოთქმა მხოლოდ ერთმანეთისთვის შეეძლოთ სადმე ტუნდრაში ან ტაიგაში. ახლა კი, ქვეყანაში იმდენი უცხოური „მიდი-მოდია“, რომ „დემოკრატიულობანას“ რაღაც ფორმების შენარჩუნება თამაშის ელემენტარული წესია, რომელიც დისკომფორტს მაინც არავის უქმნის, მით უმეტეს, როცა მერიას ხელთ ისევ გამოცდილი კადრი დავით მესხიშვილი ჰყავს. ეს კაცი ახლა არასამთავრობო (დააკვირდით, რა დემოკრატიულად ჟღერს ეს განმარტება „არასამთავრობო“!ძ ორგანიზაცია „დაცულ მოძრაობას“ თავკაცობს (ისე, ცნობისათვის, დედაქალაქის ჯანდაცვის ყოფილი ხელმძღვანელი პროფესიით ეკოლოგია, ბუნების გულმოდგინე დამცველი, რომელიღაც ნუცას სკოლადამთავრებულიძ. საოცარია, მაგრამ როცა კი თბილისის მერია ტრანსპორტთან დაკავშირებით რაიმე საკითხის „დადგენას“ დააპირებს, მაშინვე ბატონ მესხიშვილის ორგანიზაცია მოიხმობს ხოლმე მკვლევარად და, ცხადია, ყოველთვის უბიწო თოვლივით ქათქათა გამოდის ფართო საზოგადოებრიობის წინაშე, კვლევის ისეთ შედეგს იღებს, თავადაც რომ ვერ ინატრებდა.

მესხიშვილის „გოგო-ბიჭებმა“ უმალ დაადგინეს, რომ თბილისის მოსახლეობა სამარშრუტო ტაქსების მომსახურებით უკმაყოფილოა, რამაც „დაცული მოძრაობის“ თავკაცს მერიისთვის ესოდენ საჭირო „რეფორმის აუცილებლობის“ დასკვნა გამოატანინა. დედაქალაქის მამებიც ხალხის ხმას აჰყვნენ და... აირია მონასტერი. აქამდე მიღებული ჰქონდათ გადაწყვეტილება სამარშრუტო ტაქსებისათვის ახალი სტანდარტები წაეყენებინათ, რომლებსაც ამჟამად მოქმედი ავტოპარკის აბსოლუტური უმრავლესობა ვერ დააკმაყოფილებდა, თანაც მძღოლთათვის არამომგებიანი იქნებოდა, რასაც, აუცილებლად, **მგზავრობის საფასურის გაზრდა მოყვებოდა, მეორე კი ის, რომ გადაწყვეტილია სამარშრუტო ტაქსების სვლაგეზების შეცვლა.**

არსებული ინფორმაციით, **სამარშრუტო ტაქსების სფეროს რეფორმატორები გეგმავენ დედაქალაქის ხუთ ზონად დაყოფას და სამარშრუტო სამგზავრო გადაზიდვები მხოლოდ ამ ზონების საზღვრებში განხორციელდება. მართალია, ამასთან დაკავშირებით თბილისის მერიაში აცხადებენ, რომ სამარშრუტო ტაქსებით მგზავრობის საფასური არ გაიზრდება, მაგრამ როცა დანიშნულების ადგილამდე მისასვლელად კაცს უკვე, ვთქვათ, არა ორი, არამედ სამი-ოთხი ტრანსპორტის გამოცვლა დასჭირდება, ეს თავისთავად გაუზრდის მგზავრობის დანახარჯს.**

ყველა სიკეთესთან ერთად, სამარშრუტო ტაქსების რეფორმას მეტად მწვავე სოციალური ფონიც ახლავს. **საქმე ისაა, რომ დედაქალაქში ოფიციალურად 2,5 ათასი სამარშრუტო ტაქსია რეგისტრირებული, არაოფიციალური მონაცემებით კი რეალურად დაახლოებით 6 ათასი მანქანა მუშაობს. შესაბამისად, მოსალოდნელია, რომ ახლო მომავალში ულუკმაპუროდ დაახლოებით 4,5 ათასი ოჯახი დარჩება, რაც თბილისის ისედაც უმძიმეს სოციალურ ფონს კიდევ უფრო მეტად დაამძიმებს. თანაც ის 4,5 ათასი მძღოლი არც ბიუჯეტში იხდის სათანადო გადასახადებს, რაც სადღეისოდ წარმოშობილი „საბიუჯეტო თანხების ამოღების“ საყოველთაო ბუმის პირობებში ფისკალური სამსახურებისთვის მისწრებაა.**

ასე იქნება თუ ისე, ბოლო მაინც ისე ჩანს, რომ **თბილისის ხუთივე სექტორში სამარშრუტო ბიზნესში ისევ მსხვილი კომპანიები, მონოპოლისტები დამკვიდრდებიან, რომელთა უკან, დიდი ხანია მოჩანს ნაცნობი ლანდები პარლამენტის შენობიდან. ეს კი ინდივიდუალურ მეწარმეს ამ ბაზარზე ადგილს აღარ დაუტოვებს, რაც თავისუფალი ბაზრისთვის კიდევ ერთი ჩაზელილი წიხლი იქნება.**

სულ ახლახან ცნობილი გახდა, რომ **თვის მიწურულს სამარშრუტო ტაქსების ფრონტზე გადამწყვეტი ბრძოლები დაიწყება, რომლებშიც, როგორც ჩანს, განწირულები იქნებიან არამატერიალური ფასეულობის, ე.წ. ხაზების მფლობელები, ვის ულუკმაპუროდ დატოვებას მესხიშვილის კვლევათა დამკვეთნი და მათ ზურგს უკან ამოფარებული „ცნობილი ლანდები“ აპირებენ.** მათ, უეჭველად, უამრავი „ლევი“ ტაქსის მძღოლიც მიჰყვება და ოჯახებიც მშიერი დაურჩებათ. სამაგიეროდ მესხიშვილისნაირი „პიარშჩიკები“ და მათი დამკვეთები ზაფხულში იტალია-საბერძნეთის, ზამთარში კი საფრანგეთის კურშაველის კურორტებზე ფეხით კი არა, პერსონალური ტაქსებით ივლიან, რომლებითაც ერთი მგზავრობის საფასური ერთი ხაზის მეპატრონის ან ერთი სამარშრუტო ტაქსის მძღოლის ოჯახს მთელ თვეს ეყოფოდა თავის გასატანად.

აი, ასეთი არითმეტიკის ქვეყანაში ვცხოვრობთ, ბატონებო!

**ოთარ ტურაბელიძე**

◉ წარდგინება

# პირველად!.. ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი...

**ქართულ სინამდვილეში „ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონი“ პირველად გამოიცა. პარონიმებს ისეთ სიტყვებს უწოდებენ, რომლებიც ბგერობრივად ჰგვანან ერთმანეთს, მაგრამ საგრძნობლად განსხვავდებიან. ამიტომ ხშირად ხდება მათი აღრევა.**

ქართულ ენაში პარონიმთა მომრავლებამ განაპირობა ლექსიკონის შედგენა, რომლის წარდგინებაც არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის სხდომათა დარბაზში გაიმართა. ლექსიკონი მოამზადა ენათმეცნიერების ინსტიტუტის ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებამ. ლექსიკონის ავტორ-შემდგენლები არიან: **შუქია აფრიდონიძე, თამარ ვაშაკიძე, ვახტანგ მაღრაძე, თეა ტეტელოშვილი, თინათინ ღვინაძე, ნინო ჯორბენაძე.** მთავარი რედაქტორია **თამარ ვაშაკიძე.**

ენათმეცნიერების ინსტიტუტის დირექტორმა **ლალი ეზუგბაიამ** მადლობა გადაუხადა ქართული მეტყველების კულტურის განყოფილებას ლექსიკონის მომზადებისთვის, განსაკუთრებით კი თინათინ ღვინაძეს, ვინც წლების განმავლობაში მუშაობდა პარონიმების თეორიულ საკითხებზე. ასე რომ სერიოზული კვლევა-ძიების შედეგად მომწიფდა ლექსიკონის შექმნის იდეა. ამ განყოფილებამ წელიწადნახევრის წინათ მოამზადა ჟურნალისტის სტილისტიკურ-ორთოგრაფიული ლექსიკონი, რასაც მალე მეორე წიგნი მოჰყვება.




ქართული მეტყველების კულტურის განყოფილების ხელმძღვანელის **თამარ ვაშაკიძის** თქმით, მომუშავე ჯგუფი აკვირდებოდა სხვადასხვა სფეროს წარმომადგენელთა (ჟურნალისტების, იურისტების, მასწავლებლების...) მეტყველებას, აგრეთვე შეისწავლიდა მოსწავლე-აბიტურიენტების წერით ნამუშევრებს, ბგეროზრივად აღნუსხავდა მსგავსი სიტყვების გაუმართლებლად ურთიერთშენაცვლების შემთხვევებს. მან მადლობა გადაუხადა ლექსიკოლოგიის განყოფილების მთავარ მეცნიერთანამშრომელს **ლალი ბინიაშვილს** ზოგი პარონიმის მოწოდებისა და კვალიფიციური კონსულტაციისთვის. მან ქართულ ენაში გავრცელებულ პარონიმთა რამდენიმე მაგალითი მოიყვანა. მაგალითად: **ცნება — მცნება**. ცნება ერთი სიტყვის მნიშვნელობას გამოხატავს: სამშობლოს ცნება, მაგრამ **მცნება** — დიდაქტიკური აზრის შემცველი წინადადებაა.

**ცივილიზებული** და **ცივილური, ცივილიზებული** ცივილიზაციას ზიარებულს ნიშნავს— კულტურული, ცივილიზებული ქვეყანა, ხოლო **ცივილური** — არასამხედროს, სამოქალაქოს, მაგალითად — **ცივილური** ტანსაცმელი; **ოკულარი** —სპეციალური ოპტიკური ხელსაწყოს ის ნაწილი, რომელიც დამკვირვებლის თვალისკენაა მიმართული; **ოკულისტი** — თვალის დაავადებათა ექიმი; **ოკულანტი** — კვირტით ნამყნობი მცენარე.

წიგნის რედაქტორმა **ავთანდილ არაბულმა** ინსტიტუტის ისტორია გაიხსენა და დასძინა, რომ მალე ენათმეცნიერების ინსტიტუტი დაარსებიდან 70 წლისთავს აღნიშნავს, რაც ახლა ხდება, ჩვენი დიდი კორიფეების: არნოლდ ჩიქობავას, ვარლამ თოფურიას, ივანე გიგინეიშვილის, ქეთევან ლომთათიძის, ანა კალანდაძის და სხვათა დამსახურებაა, მათ ნაბიჯებს ვიმკითო. მან ასევე ხაზი გაუსვა ინსტიტუტის ღვაწლს საბჭოთა იმპერიის წიაღში, ეს იყო სტრატეგიული ინსტიტუტი, რომელიც ურთულეს ვითარებაში ემსახურებოდა ქართული სალიტერატურო ენის დაცვას, ენის სახელმწიფო პოლიტიკას საკონსტიტუციო თვალსაზრისით. ახლა კი, გლობალიზაციის პერიოდში ახალი ენობრივი გამოწვევების წიაღში ვიმყოფებით. ამიტომაც მნიშვნელოვანია ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონის გამოცემაო.

**ლევან ღვინჯილიამ** განაცხადა, რომ დედაქალაქში ქართული ანბანი ტოტალურად იდევნება, თითქმის ყველა შენობის ფასადიდან ქართული ასოები გადმოყრილია. საფრანგეთში ჯეოსტარის მსგავს კონკურსზე ყველაზე წარმატებული მომღერალი კონკურსიდან მხოლოდ იმის გამო მოხსნეს, რომ ინგლისურ ენაზე იმღერა, ჩვენთან კი ამ თვალსაზრისით განუკითხაობაა, ქალაქის მერია არ ითხოვს ქართულენოვან წარწერებსო. ასეთ სიტუაციაში მსგავსი ლექსიკონების გამოცემა უთუოდ კარგი საქმეაო.

სიტყვით გამოვიდნენ: **ნათელა ქუთელია, თინათინ ღვინაძე, გიორგი გოგოლაშვილი, ვაჟა შენგელია...**

სასიხარულოა, რომ ქართული ენის პარონიმთა ლექსიკონის მეორე წიგნზე ინსტიტუტი უკვე ფიქრობს, და მისი თანამშრომლების თავდადებული მუშაობა უთუოდ სასურველ შედეგს გამოიღებს.

**თამარ შაიშმელაშვილი**

◉ წლები

# ღვაწლი ფასდაუდებელი, ანუ ტრადიცია გრძელდება

## კლარა გელაშვილი – 80



**საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის თვალსაჩინო მოღვაწეს, პროფესორ კლარა გელაშვილს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.**

ქალბატონი კლარა დაიბადა 1931 წლის 21 იანვარს ქ. თბილისში, საქართველოს საბჭოთა ეპოქის თვალსაჩინო პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის დიმიტრი გელაშვილის ოჯახში.

სადაც კი უმოღვაწია ქალბატონ კლარას თავისი ხანგრძლივი სამეცნიერო-პედაგოგიური და საზოგადოებრივი საქმიანობის განმავლობაში, იგი ყოველთვის იყო მოწინავე პოზიციებზე, პროგრესული იდეების ავტორი და მათი განხორციელების აქტიური გენერატორი.

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, ქალბატონმა კლარამ მთელი თავისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა მიუძღვნა მედიცინის ერთ-ერთ მეტად რთულ და შედარებით ახალ მიმართულებებს – რადიოლოგიასა და რადიაციულ ჰიგიენას. თავისი ცხოვრების თანამგზავრსა და ერთგულ მეგობართან – პროფესორ რევაზ ვეფხვაძესთან ერთად მან მნიშვნელოვანი როლი შეასრულა რადიოლოგიის, როგორც ახალი და პროგრესული სამეცნიერო მიმართულების, საქართველოში დამკვიდრებასა და განვითარებაში.

განუზომელია მისი წვლილი რადიაციული ჰიგიენის, როგორც პროფილაქტიკური მედიცინის შედარებით ახალი მიმართულების, სფეროში სამეცნიერო კვლევების განხორციელებასა და უმაღლესი სამედიცინო განათლების სისტემაში დანერგვის საქმეში. მისი უშუალო ხელმძღვანელობით იქნა შემოღებული თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის სანიტარიულ-ჰიგიენურ (ამჟამად საზოგადოებრივი ჯანდაცვის) ფაკულტეტის სასწავლო გეგმაში ახალი დისციპლინა – რადიაციული ჰიგიენა. მის სწავლებას ქალბატონი კლარა ხელმძღვანელობდა 1981 წლიდან კომუნალური და რადიაციული ჰიგიენის კათედრის შემადგენლობაში, რომლის გამგეც იყო 1987-2001 წლებში. ამის შემდეგაც აგრძელებს ქალბატონი კლარა აქტიურ საქმიანობას – მისი უშუალო ხელმძღვანელობით, თანაავტორთან ერთად მომზადდა და 2007 წელს გამოიცა სახელმძღვანელო სტუდენტებისა და ექიმებისათვის „რადიაციული ჰიგიენა“, რომელიც მის მიერ 1976 და 1983 წლებში გამოცემული სახელმძღვანელოს გადამუშავებული და სრულიად ახალი, თანამედროვე ინფორმაციით შევსებული გამოცემაა.

დიდია ქალბატონ კლარას ღვაწლი საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალური საკითხების დამუშავებაში. მისი ხელმძღვანელობით შესრულებულია 5 საკანდიდატო დისერტაცია, რომლებიც საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალურ საკითხებს მიეძღვნა. მის მიერ გამოქვეყნებულია 200-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის 2 მონოგრაფია და 6 სახელმძღვანელო. არის ერთი გამოგონების ავტორი. უშუალოდ მისი და მისი მოწაფეების სამეცნიერო კვლევების შედეგები დაედო საფუძვლად საქართველოს რადიაციული რუკის შედგენას, რომელიც გაიგზავნა მსოფლიო რადიაციულ ატლასში შესატანად.

დიდია ქალბატონ კლარას როლი პროფილაქტიკური მედიცინის და, კერძოდ, ჰიგიენის მიმართულების ექიმ-სპეციალისტთა მომზადებაში. იგი წლების მანძილზე ხელმძღვანელობდა მისი უშუალო ინიციატივით ჩამოყალიბებულ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის პროფილაქტიკური მედიცინის სპეციალობების ექიმთა კვალიფიკაციის ამაღლებისა და დახელოვნების კურსებს. წლების მანძილზე იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ექიმთა სახელმწიფო სერტიფიცირების კომისიის თავმჯდომარე ჰიგიენურ სპეციალობებში.

ქალბატონი კლარა თითქმის 10 წელი იყო საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომლის საპატიო პრეზიდენტიც ბრძანდება ამჟამად. ეს პერიოდი საუკეთესო იყო აკადემიის ისტორიაში – გამოიცა აკადემიის სამეცნიერო შრომების კრებულის 4 ტომი, ჩატარდა რამდენიმე სამეცნიერო კონფერენცია (ბორჯომში, ბათუმში, სიღნაღში), გაეწია კონსულტაციები პრაქტიკოს ექიმებს და ჩატარდა მოსახლეობის სამედიცინო გამოკვლევები და ა. შ.

მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის ქალბატონ კლარას საქართველოს ეროვნული სანიტარიულ-ჰიგიენური ნორმატიული ბაზის შექმნასა და განვითარებაში. იგი არაერთი ნორმატიული დოკუმენტის შემუშავების ავტორი და ხელმძღვანელია. უშუალოდ მის მიერ მომზადდა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დამტკიცდა საქართველოს ისტორიაში პირველი ეროვნული ნორმატიული დოკუმენტი – რადიაციული უსაფრთხოების ნორმები (რუნ-2000), რითაც ქალბატონი კლარა განსაკუთრებით ამაყობს.

ყველგან, სადაც კი მოღვაწეობდა და მოღვაწეობს ქალბატონი კლარა, იგი ყოველთვის არის იდეების აქტიურად დამნერგავი და საუკეთესო მაგალითი ახალგაზრდა კოლეგებისთვის, თუ როგორ უნდა ემსახურო უანგაროდ საკუთარ პროფესიას, მეცნიერებას, ახალგაზრდა სპეციალისტების აღზრდას და, საერთოდ, ქვეყანას. მისი შრომა ღირსეულად დაფასდა სახელმწიფოს მიერ – არის ღირსების ორდენის კავალერი და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დაჯილდოებულია დიდი ოქროს მედლით.

ქალბატონი კლარა დღესაც, 80 წლის ასაკში, აღსავსეა ენერგიით და სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობის სურვილით, რასაც მოწმობს მისი ხელმძღვანელობით, თანამოაზრეებთან ერთად, ამჟამად მიმდინარე მუშაობა ახალ სახელმძღვანელოზე.

ტრადიცია გრძელდება. ...ქალბატონი კლარასა და ბატონი რევაზის დაწყებულ საქმეს ღირსეულად აგრძელებს მათი ქალიშვილი – პროფესორი ნინო ვეფხვაძე, პრევენციული მედიცინისა და გარემოს ჯანმრთელობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი, საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, რომლის ხელმძღვანელობით ნაყოფიერი სამეცნიერო საქმიანობა მიმდინარეობს საქართველოს რადიოეკოლოგიის აქტუალური საკითხების შესასწავლად.

ვუსურვოთ ქალბატონ კლარას ჯანმრთელი და ნაყოფიერი ხანგრძლივი სიცოცხლე ქვეყნის და, კერძოდ, პროფილაქტიკური მედიცინის განვითარებაში შემდგომი წვლილის შეტანისათვის.

**თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი;**

**საქართველოს პროფილაქტიკური მედიცინის მეცნიერებათა აკადემია;**

**გ. ნათაძის სახელობის სანიტარიისა და ჰიგიენის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი;**

**ნ. მახვილაძის სახელობის შრომის მედიცინისა და ეკოლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი.**

◉ ერთი კრებულის ხიბლი

# მზეს უგალობს ოთხი შვილის დედა...



**ჰო, მზეს უგალობს წერეთლის ქალი,** საოჯახო საქმე, რომ იტყვიან, თავზე გადასდის ოთხი შვილის დედას, თან პედაგოგია – ქართული ენის სიყვარულს უნერგავს თერჯოლის კერძო სკოლის – „მზეკაბანი-2007“ – მოსწავლეებს... და მაინც, რჩება ხოლმე დრო **მანანა წერეთელს,** საკუთარ თავთან განმარტოვდეს, ბავშვობიდან მეოცნებემ და პოეტური სულის გოგონამ ქაღალდზე ლექსად გადაიტანოს ყოველდღიური სევდა თუ სიხარული.

ეს სევდა-სიხარული, ძალიანაც წინააღმდეგი იყო, მაგრამ ერთ კარგ ლექსების კრებულად აუკინძეს მანანა წერეთელს ახლობლებმა და მეგობრებმა – **გელა წერეთელმა, გიორგი წერეთელმა, გიორგი გაზეხაძემ, შპს „დივაიზ სტუდიომ“...** კარგიც ქნეს – მანანა წერეთლის კრებულში – **„მზის საგალობელი“** – მოთავსებული ლირიკა, დამიჯერეთ, კიდევ ერთი კარგი პოეტის დაბადების მაუწყებელია.

**„მზეო, შენია დღეცა და ღამეც,**
**შენი თვალია თვალი უფლისა,**
**მოდი, მომკერძე სიტყვა-წამალი**
**ფარულ დარდის და სინანულისა“.**




მანანა წერეთელი შუა ხნის, ზემო იმერეთში, საწერეთლოში დაბადებული უსათნოესი ქალბატონია, ჭიათურის საშუალო სკოლა რომ დაამთავრა, თბილისში ჩამოვიდა, კულტურის სამინისტროსთან არსებული საბიბლიოთეკო სასწავლებელი, შემდეგ კი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრა, რასაც მოჰყვა, თითქმის სამი ათეული წელია, დაქალება-დაოჯახება და პედაგოგიური მოღვაწეობა თერჯოლაში. მანანა გამორჩეული ოჯახის დედა და დიასახლისია, სულში იძვრენენ მოზარდები და მასწავლებლები, ზრდის ოთხ შვილს და ხვალინდელი დღის იმედით ცოცხლობს.

**„გაიღვიძებს გულში სევდა**
**გაფრენილი დღეების,**
**უზელო და ურა კვიცებს**
**მიეწევი როგორ,**
**ახლა უკვე მხცით მოსილი**
**იხსენებ და კვირდები,**
**სად წასულა ქალაბიჭა,**
**ონავარი გოგო“...**

გადავიკითხე მანანა წერეთლის ლექსების კრებული, რომელიც ჩემმა ძვირფასმა გოგი წერეთელმა – ბრწყინვალე გრაფიკოსმა მომიტანა და თან გამეხუმრა, ნახე, წერეთლების სიძევ, აკაკის საქართველოში, წერეთლები ისევ წერენ კარგ ლექსებსო...

ვნახე, წავიკითხე, ძმაო გოგი, და ახლა ჩემს აზრს ვეტყვი მკითხველს მანანას ლექსებზე:

– ეს ლექსები სიცოცხლის, მზის, სიყვარულის საგალობელია, რომლებშიც გვერდიგვერდ არსებობენ: სევდა და სიხარული, თვალისმომჭრელი ფერადოვნება და ბინდისფერი მიწიერი სიმძიმე, ზეციური სიმსუბუქე, გაზაფხულის იმედიანი გაცხადება და ზამთრის ცივი ერთფეროვნება... ნახეთ, რას ამბობს ჩვენი მანანა ლექსში: „მადლობა უფალს“:

**მადლობა უფალს,**
**რომ მომკერძა სიცოცხლე ბევრი,**
**დამაზრო მიწის ბელტის სუნით**
**და ათას ფერით,**
**პატივი დამდო, გამერჩია**
**მოყვარე მტრისგან**
**და მეგრძნო, არ ვარ მხოლოდ მიწის,**
**არამედ ცისაც.**
**...თეთრი ფრთები მაქვს,**
**სულს ვახეთქებ ზეცის თავანებს,**
**ადამის მოდგმას რომ ვამრავლებ,**
**ეს მათამამებს.**

სწორედაც გმადლობთ, ჩვენო მანანა, შესანიშნავო ქალბატონო და პოეტო, ადამის მოდგმის, ქართველის გამრავლებისთვის, ოთხი კარგი შვილის დედობისთვის, ერთგული მეუღლეობისთვის, ჭირთათმენისთვის, ხვალის იმედისთვის... ქმარ-შვილს რომ დააპურებ სოფლის სიმყუდროვეში მუზას მოუხმობ, იმ ნაოცნებარ-ნაფიქრალის ქაღალდზე ნიჭიერად გადატანას დაგილოცავთ, ჩვენო მანანა! ჯვარი ეწეროს შენს მომავალს, მადლობა ასეთი თავანკარა ლექსებისთვის!

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**ქვემოთ გთავაზობთ მანანა წერეთლის ერთ ლექსს:**

### შვილებს

**იზრდებით უკვე, აიმაღლეთ ნაზი კისრები,**
**იზრდებით უკვე, მეტოლებით როგორც ტოლები,**
**უკვე საგრძნობი გახდა თქვენთვის ჩემი ფიქრები,**
**უკვე ნაცნობი გახდა თქვენთვის ჩემი ლოცვები.**

**ოთხი სიცოცხლით დახუნძლული მივიმტევნები,**
**მზის ათინათი დაგთამაშებთ ნატიფ ნაკვთებზე.**
**ისმინა ღმერთმა და მოიღო წყალობა დიდი,**
**ვთხოვდი, რომ თქვენი გულის ფეთქვით, სუნთქვით ავევსე.**

**დამინაწილეთ, დედას პურად დამინაწილეთ,**
**მზის ათინათად, ქართულ სიტყვის მადლად, მარილად.**
**რომ მიმწუხრის ჟამს უყლორტებო ხმელ ხედ არ ვიქცე**
**და დაგიგულოთ ჩემი კერის ხმლად და მანდილად.**

◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# რუსეთი და საქართველო „ტოჩკამდე“ მივიდნენ

**საქართველომ რუსეთს ბრალი დასდო სამხედრო აგრესიის მომზადებაში. როგორც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში განაცხადეს, ამაზე მიუთითებს სამხრეთ ოსეთში რუსეთის ოპერატიულ-ტაქტიკური რაკეტის „ტოჩკა-უ“-ს განთავსება. ამის შესახებ წინა დღით განაცხადეს რუსმა სამხედროებმა. ამავე დროს თბილისმა გასაგებად განაცხადა, რომ გაწბილებული არიან დასავლეთის უმოქმედობით მოსკოვის აგრესიულ განზრახვებთან დაკავშირებით.**

რუსეთის სამხედრო ბაზის შემადგენლობაში, რომელიც დისლოცირებულია სამხრეთ ოსეთში, ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექს „ტოჩკა-უ“-ს გამოჩენის შესახებ წინადღით აცნობეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს სამხრეთი ფედერალური ოლქის ძალოვანი სტრუქტურების წყაროში. ამავე დროს მათ აღნიშნეს, რომ „საქართველოს სპეციალური სამსახურები ინფორმირებული არიან სამხრეთ ოსეთში სარაკეტო იარაღის არსებობის შესახებ, რასაც თავისი ტაქტიკურ-ტექნიკური მონაცემებით ეფექტიანად შეუძლია, მოიგერიოს ნებისმიერი აგრესია თბილისის მხრიდან“.

ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსი გათვალისწინებულია ეფექტიანი მოწინააღმდეგის ჯარების განლაგების ტაქტიკურ სიღრმეში განადგურებისთვის. სარაკეტო კომპლექსი „ტოჩკა-უ“ შეიარაღებაში მიღებულია 1989 წელს. მის შემადგენლობაში შედის მყარსაწვავიანი ტაქტიკური რაკეტა, რომელიც შეიძლება იყოს აღჭურვილი საბრძოლო ნაწილების სხვადასხვა ტიპებით, გამშვები დანადგარით, სატრანსპორტო, დამტვირთავი მანქანით, სატვირთო მანქანით, სატრანსპორტო მანქანით, ავტომატური საკონტროლო-საგამოცდო მანქანით, ტექნიკური მომსახურების მანქანითა და არსენალური აჭურვილობის კომპლექტით.

თუ საქართველოს სპეცსამსახურები კიდეც იყვნენ ინფორმირებული „ტოჩკის“ გამოჩენის შესახებ სამხრეთ ოსეთში, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მათ ამის შესახებ, ეტყობა, არაფერი აცნობეს. ასე რომ, საქართველოს საგარეო-პოლიტიკური უწყების რეაქცია გაჩნდა მხოლოდ რუსეთის განცხადების შემდეგ. „სარაკეტო კომპლექსს „ტოჩკა-უ“-ს განთავსება ოკუპირებულ რეგიონში, როგორც 2010 წლის დეკემბერში სისტემა „სმერჩის“ განთავსება, აშკარად მოწმობს იმის შესახებ, რომ რუსეთი ამზადებს აშკარა სამხედრო აგრესიას საქართველოს წინააღმდეგ“, – განაცხადეს თბილისში. ამას ადასტურებს ის ფაქტიც, რომ საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილისგან განსხვავებით, რომელმაც ევროპარლამენტში გამოსვლის დროს საჯაროდ იკისრა ვალდებულება „არ გამოიყენოს ძალა საოკუპაციო ჯარებისა და მარიონეტული ხელისუფლების წინააღმდეგ“, რუსეთი არ ჩქარობს ამის დეკლარირებას თავისსავე ვალდებულებებში საქართველოსთან დაკავშირებით.



ამასთან დაკავშირებით „საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო დაბეჯითებით მოითხოვს საერთაშორისო გაერთიანებისგან, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და პარტნიორი ქვეყნებისგან – მიიღონ აქტიური და ქმედითი ზომები, რათა აიძულონ რუსეთი, შეწყვიტოს აგრესიული მოქმედებანი საქართველოსთან დაკავშირებით“. თავიანთი განცხადებისა და მთლიანად სიტუაციისთვის დიდი დრამატიზმის მისანიჭებლად ქართველმა დიპლომატებმა დროულად მიიჩნიეს შეეხსენებინათ, რომ „სწორედ რაკეტებით „ტოჩკა-უ“ მთლიანად გაანადგურა რუსეთის ფედერაციამ ჩეჩნეთის რესპუბლიკის ქალაქი ბამუტი და ამ ქალაქის მშვიდობიანი მოსახლეობა“.

შეგახსენებთ, რომ, საქართველოს თავდაცვის სამინისტოს მონაცემებით, 2008 წლის აგვისტოს „ხუთდღიანი ომის“ დროს რუსეთის არმიამ საქართველოს სამხედრო ობიექტებისა და სამოქალაქო ინფრასტრუქტურების წინააღმდეგ გამოიყენა 23 რაკეტა „ტოჩკა-უ“ და ორი რაკეტა „ისკანდერი“. ყველა ისინი, როგორც თბილისში ამტკიცებენ, აღჭურვილი იყო კასეტური საბრძოლო ნაწილით. ამ რაკეტების ნამსხვრევები დღემდე ინახება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში.

მიუხედავად ამისა, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და „პარტნიორი-ქვეყნებისგან“ ჯერჯერობით არანაირი რეაქცია არ ჩანს. როგორც არ ყოფილა ეს რეაქცია რუსეთის სამხედროების დეკემბრის განცხადების შემდეგ სამხრეთ ოსეთში სისტემა „სმერჩის“ განთავსების შესახებ.

ჩვენს შეკითხვაზე, თუ რა მიზნით კეთდება ამგვარი განცხადებანი, კარნეგის მოსკოვის ცენტრის ექსპერტმა ალექსეი მალაშენკომ განაცხადა: „ჩვენთან არის დაძაბულობის ასეთი თამაშები. ჩვენ მუდმივად შევახსენებთ ხოლმე, რომ სიტუაცია იქ ჯერ კიდევ არ არის გადაჭრილი. ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როგორ მოვიქცეთ საქართველოსთან დაკავშირებით“. როგორც ექსპერტმა განმარტა, ამას აკეთებს მიხეილ სააკაშვილი. „ის გვაშინებს სოჭში ოლიმპიური თამაშების ჩაშლით და ჩერქეზეთის საკითხით – ჩვენ გამოვიყენებთ სხვა რამესაც“, – განაცხადა ბატონმა მალაშენკომ.

Коммерсантъ

# შეეცდებიან ხმის ამოღებას

**საქართველო კვლავ ცდილობს, გამოიწვიოს რუსეთის სატელევიზიო სივრცე. მაუწყებლობა განაახლა რუსულენოვანმა „პირველმა კავკასიურმა საინფორმაციო“ არხმა, რომლის შექმნის უკანაც რესპუბლიკის ხელისუფლება დგას. პრეზიდენტი სააკაშვილი გახდა არხის პირველი სტუმარი, გამოაცხადა, კერძოდ, რომ „შემდეგ წელს შეხვდებიან სოხუმში“.**

მიხეილ სააკაშვილმა პირდაპირ ეთერში უმალვე განაცხადა იმის შესახებ, რომ ქვეყნის ხელისუფლება „ამ ტელევიზიას აძლევს მხარდაჭერისა და სრული თავისუფლების გარანტიას“. ამ ტელეარხის შექმნას მან უწოდა „მნიშვნელოვანი ინიციატივა“, აღნიშნა, რომ აქ მოწვეული არიან გამოცდილი და წამყვანი ჟურნალისტები. მან აღნიშნა საქართველოდან „მთელ მსოფლიოზე, კავკასიაზე, პოსტსაბჭოთა სივრცეზე“ მაუწყებლობის დიდი მნიშვნელობა. სააკაშვილმა გამოთქვა იმედი, რომ ტელევიზია „პირველი კავკასიური საინფორმაციო“ სერიოზულ გავლენას მოახდენს რეგიონზე, ეტყობა, მას მხედველობაში ჰქონდა კავკასიის რუსეთის ნაწილი. სხვათა შორის, პრეზიდენტი გამოდიოდა ქართულად, და „პირველ კავკასიურ საინფორმაციოს“ უხდებოდა მისი სინქრონული თარგმნა რუსულ ენაზე.

ამის შემდეგ დაიწყო შეკითხვები, თანაც ეს შეკითხვები მოდიოდა არა რუსეთიდან, არამედ თავად საქართველოდან, ძირითადად შეეხებოდნენ უმძიმეს სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას. პრეზიდენტს ეკითხებოდნენ ფასების ზრდის, დაბალი ხელფასებისა და პენსიების შესახებ. სააკაშვილი პასუხობდა, მაგრამ ცხადი იყო, რომ მას ყოველთვის სულ უფრო და უფრო უჭირდა მიენიჭებინა მოქალაქეებისთვის ახლო მაძღარი მომავლის იმედები. თანდათანობით მან საუბარი გადაიტანა საშინაო პრობლემებზე და თავისთვის უფრო საინტერესო თემაზე – საერთაშორისო პოლიტიკაზე.

სააკაშვილმა აღიარა, რომ ყოველ დილით იღვიძებს ფიქრებით აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის შესახებ: აფხაზეთი – „მისი სახლია“, სამხრეთი ოსეთი კი – „მისი მიწა“, რომლებიც ამჟამად სხვების „ჩექმებ ქვეშ“ არიან. მისი სიტყვებით, ეს ტერიტორიები საქართველოსთვის ორგანული და წმინდა ტერიტორიებია.

სააკაშვილმა განაცხადა, რომ საჭიროა ყოველთვის ვიფიქროთ და ვისაუბროთ იმის შესახებ, რომ „შემდეგ წელს შევხვდებით სოხუმში“. „ჩვენ ომში ვართ, მაგრამ ჩვენი ორგანიზებულობით, სტაბილურობით, ოპტიმიზმით მოვიგებთ ომს“, – თქვა მან.

როდესაც რუსეთს შეეხო, მან განაცხადა, რომ გარკვეული დროის შემდეგ აუცილებლად მოხდება აფხაზეთისა და სამხრეთი ოსეთის „დეოკუპაცია“, ბრალი დასდო კრემლს „იმპერიულ პოლიტიკაში“. ამავე დროს, მან მკაცრად გააკრიტიკა რუსეთის პრემიერ-მინისტრი ვლადიმერ პუტინი, ბრალი დასდო მას იმაში, რომ საქართველოს ნაწილი „ოკუპირებულია“.

ამავე დროს სააკაშვილმა არ უპასუხა პირდაპირ შეკითხვას, აქვს თუ არა მას განზრახული, გახდეს პრემიერ-მინისტრი 2013 წელს, თავისი უფლებამოსილების გასვლის შემდეგ. მან ითხოვა მისცენ მას საშუალება, იმუშაოს ეფექტიანად პრეზიდენტის პოსტზე დარჩენილი დროის განმავლობაში. მისი სიტყვებით, მისთვის მნიშვნელოვანია „არა იქ, სადაც ვიქნები“ 2013 წელს, „არამედ სად იქნება ქვეყანა“. სააკაშვილი დაჰპირდა, რომ ქვეყნის ინტერესებს ყოველთვის „ყველაზე მაღლა დააყენებს“.

შეგახსენებთ, რომ „პირველი კავკასიური საინფორმაციო“ გახდა პირველი კავკასიური არხის მემკვიდრე, რომლის მაუწყებლობაც დაიწყო 2009 წელს საქართველოს საზოგადოებრივი ტელევიზიის ბაზაზე. მაგრამ შარშან იანვარში საფრანგეთის კომპანია „ეუტელსატმა“ გამორთო არხი. საქართველო ამტკიცებდა, რომ ეს იყო „რუსეთის ხრიკების“ ნაყოფი, რომელმაც ზემოქმედება მოახდინა ფრანგებზე. მას შემდეგ თბილისში მიმდინარეობდა სხვა თანამგზავრის ძიება და იგი იპოვეს – ეს არის „ჰოთ ბირდი“.

არხის ხელმძღვანელებად მოიწვიეს „ვარსკვლავები“ შორეული საზღვარგარეთიდან. მაგალითად, გენერალური დირექტორი გახდა რობერტ პარსონსი, რომელიც მუშაობდა ბი-ბი-სი-ში და რადიო „თავისუფლებაში“. მის მოადგილედ ინფორმაციის დარგში გახდა დევიდ ჩატერი „ალ-ჯაზირადან“, რომელიც მანამდე არაერთგზის აღნიშნულა ჟურნალისტური პრემიებით რეპორტაჟებისთვის ჩეჩნეთიდან და ავლანეთიდან. საქართველოს ხაზინამ პირველი პერიოდისთვის პირველი კავკასიურის 200 თანამშრომლისთვის გამოყო 7 მილიონი ევრო (ეს ციფრი გამოაცხადა პარსონსმაძ. საბიუჯეტო დაფინანსება, როგორც ვარაუდობენ, გაგრძელდება. არხი გახსნის საკორესპონდენტო პუნქტებს მოსკოვში, მახაჩყალაში, ვლადიკავკაზში, ვაშინგტონში, ბაქოში, ერევანში, თეირანში, ბრიუსელში, კიევში, ანკარაში.

ჯერჯერობით „პირველი კავკასიური საინფორმაციო“ მაუწყებლობას გააგრძელებს ექვსი საათის განმავლობაში დღეში, მოსკოვის დროით 18 საათიდან. არხი გვპირდება მხოლოდ ფაქტების მიწოდებას მთელი მსოფლიოდან. რობერტ პარსონსმა აღნიშა, რომ ტელევიზია აქცენტს გააკეთებს სიტუაციებზე ჩრდილოეთ და სამხრეთ კავკასიაში. ჯერ კიდევ, როდესაც პირველი კავკასიური არხი შეიქმა, საქართველოს ოპოზიცია საუბრობდა იმის შესახებ, რომ ეს შეიძლება ყოფილიყო სახიფათო – მას შეიძლება გაეღვივებინა, საინფორმაციო თვალსაზრისით, სიტუაცია რეგიონში. „ჩვენ გვსურს, რომ გვიყურებდნენ ყველგან, სადაც რუსულად ლაპარაკობენ“, – ამბობს პარსონსი, რომლის სიტყვებითაც ამჟამად რუსეთის არხები ძირითადად გადმოსცემენ „მტრულ“ ინფორმაციას საქართველოს შესახებ.

პარსონსმა ამავე დროს აღნიშნა, რომ არხზე „არ იქნება პროპაგანდა“. ახალი ამბები არხზე გადაიცემა ოთხჯერ დღეში. აგრეთვე მზად არის 16 სხვადასხვანაირი გადაცემა, თოქ-შოუ.

სხვათა შორის, სააკაშვილის ეთერში გასვლის მზადების დროს ყველაფერი წყნარად როდი მიმდინარეობდა. როგორც საქართველოს საინფორმაციო სააგენტომ „ინტერპრესნიუსმა“ გვაცნობა, ზოგიერთი დამოუკიდებელი მასობრივი ინფორმაციის საშუალების წარმომადგენლები არ დაუშვეს პრეზიდენტთან პირდაპირ ეთერში. ასევე ცნობილი იყო, რომ ჟურნალისტებს შეეძლებოდათ, მიეცათ 4-დან 5 შეკითხვამდე, მთლიანად კი პრეზიდენტს ურთიერთობა ექნება ხალხთან საორიენტაციოდ ორი საათის განმავლობაში. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლები, რომლებიც დაუშვეს გადაცემაზე, შერჩეული იყო სააკაშვილის ადმინისტრაციის მიერ.

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

## დედამიწის ზურგზე

**აშშ-ს პრეზიდენტის ყოველწლიური გზავნილი: ობამა იხსენებს სსრ კავშირსა და 1957 წელს**

1957 წელს საბჭოთა კავშირმა წინ გაუსწრო ამერიკის შეერთებულ შტატებს დედამიწის პირველი ხელოვნური თანამგზავრის გაშვებით, რამაც უბიძგა ამერიკელებს განევითარებინათ მეცნიერება და „რევოლუციური აღმოჩენები“, აღნიშნავს ბარაკ ობამა თავის ყოველწლიურ მიმართვაში კონგრესისადმი. მსგავს გარდატეხის მომენტს ისტორიაში ამერიკელები განიცდიან დღესაც, მიაჩნია სახელმწიფო მეთაურს.



* * *

**კონგრესისადმი თავის გზავნილში ობამა მოუწოდებს, დაიწყონ „გარდაქმნა“ აშშ-ში**

„მომავლის დაპყრობა, – თქვა მან, – ამერიკის გარდაქმნაშია“. „რომ მოვიზიდოთ ჩვენს სანაპიროზე ახალი ბიზნესი, გვჭირდება ყველაზე სწრაფი და საიმედო საშუალებები ხალხის, საქონლის და ინფორმაციის გადაადგილებისთვის, დაწყებული მაღალი სისწრაფის ინტერნეტიდან და დამთავრებული მაღალი სიჩქარის რკინიგზებით“, – განაცხადა მან.

* * *



**ეგვიპტეში ანტისამთავრობო უწესრიგობებში დაიღუპა 3 კაცი, მათ შორის პოლიციელიც**

მთლიანად კაიროსა და სუეცში დაზარალდა დაახლოებით 100 კაცი. მათ შორის ძალიან ბევრია პოლიციელი, რომლებსაც ქვებს ესროდნენ. მრავალათასიანი საპროტესტო აქციები, რომლებმაც მიიღეს „რისხვის დღის“ სახელწოდება, გაიმართა სამშაბათს ქვეყნის მრავალ ქალაქში.

* * *

**სკანდალი გერმანიის სამხედრო საზღვაო ძალების სასწავლო ხომალდთან დაკავშირებით: იქ გაიხსნა ლოთობისა და განუკითხაობის ფაქტები**



გერმანიის პარლამენტის სრულუფლებიანმა წარმომადგენელმა სამხედრო მოსამსახურეებთან დაკავშირებით წარმოადგინა მოხსენება სასწავლო ხომალდზე მომხდარი ამბების შესახებ. ხომალდის მეთაური, რომელსაც უმეტესად ხედავდნენ მხოლოდ ქვედა საცვალში, გაგზავნეს შვებულებაში თავდაცვის მინისტრის პირადი განკარგულებით.

* * *

**ფინეთში მოვიდა ყინულის წვიმა – ბევრი სოფლის მცხოვრებლები ევაკუირებულია**

გაყინული ხეების დაცემისა და ელექტროგადამცემი ხაზების გაწყვეტის გამო ელექტროდენის გარეშე დარჩა დაახლოებით 30 ათასი სახლი. გაჰყავთ უწინარეს ყოვლისა მარტოხელა მოხუცები ცალკე მდგარი სახლებიდან.



ჯანმრთელობა

# ნიკოლაი დროზდოვი: სახსრები შიმშილობით მოვირჩინე

***ვინ არ იცნობს ნიკოლაი დროზდოვს? ცნობილი ტელეწამყვანი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ეკოლოგი, მოგზაური, საზოგადო მოღვაწე და ქველმოქმედი — ამ გასაოცარი ადამიანის მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა მიმართულება როდი ჩამოვთვალეთ. და კიდევ — ბატონი ნიკოლაი — ცხოვრების ჯანსაღი წესის მიმდევარია.***



## ცხოვრება სავსეა მოულოდნელობებით

**— ბატონო ნიკოლაი, თქვენ დადიხართ სამეცნიერო ექსპედიციებში სხვადასხვა კონტინენტზე, წერთ წიგნებს, სამეცნიერო შრომებს. ტელემაყურებლები თქვენ გიცნობენ, როგორც ბევრისთვის საყვარელი გადაცემის „ცხოველთა სამყაროში“ წამყვანს. ალბათ, არაერთ რთულ სიტუაციაში მოხვედრილხართ მოგზაურობებისა და გადაღებების დროს!**

— დიახ, პროგრამა „ცხოველთა სამყაროში“ მიმყავს უკვე 30 წელია. იყო, რა თქმა უნდა, რთული სიტუაციებიც. სილოც დამსხმია თავს, ნიანგიც, ზვიგენმაც კინაღამ დამგლიჯა, ბაიკალის ფსკერზე ძლიერი შტორმის დროს უსიამოვნო სიტუაციაშიც მოვხვდი. გადაღებების დროსაც ყველაფერი ხდება. ერთხელ გველგესლამ მიკბინა, მაგრამ გადაღებები არ შემიჩერებია, ვფიქრობდი, რომ არაფერი საშინელება არ მომხდარა. შემდეგ კი რამდენიმე დღე მკვლევარის ინტერესით ვადევნებდი თვალყურს, თუ როგორ მოქმედებს ორგანიზმზე შხამი.

**— ორგანიზმისთვის შედეგების გარეშე რომ გადაიტანო ასეთი სტრესები და დატვირთვები, საკმარისი როდია მხოლოდ გიყვარდეს შენი საქმე, არამედ უნდა იყო მაგარი, ამტანი ადამიანიც. თქვენ, ალბათ, ახალგაზრდობიდანვე ეწევით ცხოვრების ჯანსაღ წესს?**

— ახალგაზრდობაში მიტაცებდა ცხენის ჭენება, იოგა, თხილამურები, ვბანაობდი ყინულიან წყალში, ვასრულებდი ტანვარჯიშს, მაგრამ ეს სისტემა არ ყოფილა. ამასთან მქონდა მავნე ჩვევებიც, განსაკუთრებით ჭამა მიყვარდა. და ორმოცდაათი წლისთვის ოცდაათი ზედმეტი კილოგრამი დავაგროვე. ფეხებმა დამიწყო ტკივილი, და ექიმებმა შემომთავაზეს ჩამესვა ლითონის სახსრები. შეიძლება დავთანხმებოდი კიდეც ოპერაციაზე, რითაც ჯვარს დავუსვამდი ჩემს მოგზაურობებს უდაბნოებსა და ჯუნგლებში... რომ არ შევხვედროდი კაცს, რომელიც დღემდე ჩემს მასწავლებლად მიმაჩნია ჯანმრთელობის შენარჩუნების მეცნიერებაში.

**— გვიამბეთ უფრო დაწვრილებით ამ შეხვედრის შესახებ.**

— ერთ დილით კოჭლობით ჩემს ჯოხთან ერთად დავდიოდი ჩემს მახლობელ პარკში, გვერდით კი დილის სირბილს ასრულებს უცნობი მამაკაცი. შემინიშნა, მორბის ჩემთან და მეუბნება: „ეს რა მოგივიდათ, ბატონო ნიკოლაი, კოჭლობთ?“ მაშინ ერთხელ ჩემს ცხოვრებაში მადლობა გადავუხადე ბედს სატელევიზიო ნაცნობობისთვის. ეს იყო იური გუშჩო, აკადემიკოსი, ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, სსრ კავშირის სპორტის ოსტატი ჭიდაობა სამბოში, ცხოვრების ჯანსაღი წესის აპოლოგეტი. კოქსართროზის გამო ის ინვალიდი გახდა. მაგრამ სასოწარკვეთილებაში როდი ჩავარდა, გადაწყვიტა აღედგინა ჯანმრთელობა სამკურნალო შიმშილობის დახმარებით ამ მეთოდის ცნობილი პროპაგანდისტის იური ნიკოლაევის კლინიკაში. როდესაც ის იქ მიიყვანეს, მას უყავარჯნებოდ სიარული არ შეეძლო. მეხუთე დღეს კი წამოდგა და დაიწყო სიარული ჯოხით. სულ 33 დღე იშიმშილა. წლინახევრის შემდეგ კი გაირბინა 15 კილომეტრი დაუსვენებლად ყირგიზეთის მთის გზაზე.



## სახსრების ტკივილმა გაიარა?

**აკადემიკოსმა ი.გუშჩომ განუმარტა ნ.დროზდოვს, რომ შიმშილობა — ჯანმრთელობის ნორმალიზების ყველაზე სწრაფი საშუალებაა. დასაწყისისთვის მან შესთავაზა ეშიმშილა ათი დღე, რათა გამოეფხიზლებინა ორგანიზმის ფარული რეზერვები. შემდეგ კი მთლიანად გადასულიყო ვეგეტარიანულ კვებაზე, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო იმ პროდუქტებისთვის, რომლებიც ეფექტიანად ანგრევენ ზედმეტ ცხიმებს და გამოაქვთ მარილები ორგანიზმიდან. ასეთ პროდუქტებს განეკუთვნება ბულგარული წიწაკა, კიტრი, სალათის ფოთლები, კომბოსტო, ყაბაყი. და მოხდა სასწაული: უკვე შიმშილობის დროს სახსრების ტკივილი სრულიად გაქრა!**

— ვიგრძენი თავი მხნედ, ჯანსაღად და შორს მოვისროლე ჯოხი! — იხსენებს ნ.დროზდოვი. — ახლაც დარწმუნებული ვარ ნედლი პროდუქტებით კვების, მონოკვების სარგებლობაში. მიყვარს უბრალო კერძები. დილით კმაყოფილებით ვჭამ შვრიის „ცოცხალ“ ფაფას. მოხარშულს კი არა — უბრალოდ ცხელ წყალდასხმულს. წიწიბურას ფაფასაც, სხვათა შორის, არ ვხარშავ — ბურღულს საღამოს ვასხამ ცხელ წყალს, დილით კი უბრალოდ ვათბობ. დღის განმავლობაში ვჭამ ბოსტნეულის სალათს, კიტრს, მარცვლოვანებს და ყაბაყს.

კვების აი ასეთი რეჟიმი საშუალებას აძლევს ჩემს ორგანიზმს გადაიტანოს მრავალრიცხოვანი ნერვული და ფიზიკური დატვირთვები, შევინარჩუნო აქტიურობა. და წონაც რომ ნორმაში მქონდეს: ახლა 73 კილოგრამი ვარ, რაც 180 სანტიმეტრი სიმაღლის დროს ოპტიმალურად მიმაჩნია.

თუმცა სრული ვეგეტარიანელი არ ვარ. შემიძლია, მაგალითად, ვჭამო მწყრის კვერცხები (ნაჭუჭთან ერთად!), პროექტზე „უკანასკნელი გმირი“ მუშაობის დროს მიხდებოდა ძირითადად კიბორჩხალებისა და მოლუსკების ჭამა.

**— ყავას, ალკოჰოლურ სასმელებს სვამთ?**

— ყავას ვსვამ, მაგრამ უშაქროდ. ამ ცოტა ხნის წინათ ევგენი ჩაზოვთან საუბრის დროს მონანიებით ვაღიარე, რომ არ შემიძლია ყავაზე უარის თქმა. მან მე დამამშვიდა — მითხრა, რომ ჩემი დაბალი წნევისთვის ეს სასარგებლოა. რაც შეეხება ალკოჰოლს, მე მას დავემშვიდობე.

**— შიმშილობის კურსს აღარ გადიხართ?**

— როდესაც ი.გუშჩოს რეკომენდაციებს ვასრულებდი, მივხვდი, თუ რამდენად ეფექტიანია სრული შიმშილობა. მოშიმშილის ორგანიზმს „ესმის“, რომ პატრონი მის კვებას არ აპირებს. და სიცოცხლის შენარჩუნებისთვის ის იწყებს ყველაფერი არასაჭიროს — ცხიმოვანი დანალექების, ნაწიბურების, კორძების, ბალთების, სიმსივნეების... — „ჭამას“. მაგრამ სრული და ხანგრძლივი შიმშილობა — მეტად რთული პროცესია. ორგანიზმს რომ არ ვავნოთ, სწორად უნდა დავიწყოთ იგი და გონივრულად გამოვიდეთ იქიდან. გადატვირთულობა საშუალებას არ მაძლევს, მოვიწყო ეს კურსები თავად. და მე მოვნახე მეთოდი, რომელსაც „ხავერდოვანი შიმშილობა“ ეწოდება. ის დოქტორმა ალფრედ ზიგანშინმა დაამუშავა. ნოვატორული მეთოდიკა მე გავსინჯე მის გერონტოლოგიურ ცენტრში.

## დილის ტანვარჯიში

**— თუ გაქვთ თქვენი ტანვარჯიში, ვარჯიშის სისტემა?**

— ვდგები დილის 5 საათზე და სულ ცოტა ერთი საათი-საათნახევარი ვვარჯიშობ. ჩემს კომპლექსში შედის კლასიკური და სუნთქვითი ვარჯიშები. მათ შორისაა 100 ჩაჯდომა, ვარჯიშები ხერხემლის მოქნილობის შენარჩუნებისთვის, რომლებიც გალინა შატალოვასაგან გადმოვიღე, და იოგების ასანები — ისინი იური გუშჩომ მიკარნახა.

რასაკვირველია, იოგას აღმოსავლური პრაქტიკა — რთული მეცნიერებაა, მას დილიდან საღამომდე უნდა ასრულებდე. ბატონმა იურიმ დინამიური და სტატიკური იოგა გააერთიანა კომპლექსში 32 ვარჯიშისგან. ისინი აღწერილია მის წიგნებში.

**— რა ვარჯიშებს ურჩევდით ჩვენს მკითხველებს?**

— გიამბობთ „ალმასის ოთხიანზე“, რომელიც შეიცავს ყველაზე ეფექტიან ასანებს. ეს ვარჯიშები ძალიან სასარგებლოა თავის ტვინის კარგი სისხლის მიმოქცევის შესანარჩუნებლად, არტერიული წნევის ნორმალიზაციისთვის. ჩვენი ტვინი ხომ, სხეულის მწვერვალი, მუდმივად განიცდის სისხლის შემოდინებას და, შესაბამისად, ჟანგბადის უკმარისობას. ამას გარდა, ჩვენი პირდაპირი სიარული ტვირთავს ხერხემალს. ამიტომ კომპლექსში აუცილებლად ვრთავ სიარულს დაოთხილად (ხელებსა და ფეხებზე ერთად). და ყველას მოვუწოდებ: ხშირად იარონ „ოთხ“ ფეხზე! დაე, ხერხემალმა დაისვენოს დღეში თუნდაც 5-10 წუთით მაინც!

## „კლუბი 100 წელი“ და „სიკეთის სამყარო“

**ნ. დროზდოვი დიდ დროს უთმობს საზოგადოებრივ, საქველმოქმედო საქმიანობას. აი, რას გვიამბობს იგი ერთ საინტერესო საზოგადოებრივ გაერთიანებაზე — „კლუბი 100 წელი“.**

— ჩემმა კარგმა მეგობარმა — მწერალმა, ქველმოქმედმა, ცხოვრების ჯანსაღი წესის ენთუზიასტმა ლეონიდ ანიკეევმა შექმნა „კლუბი 100 წელი“, რათა ხალხს ასწავლოს დაავადებათა თავიდან აცილება. მან დაისახა უკიდურესად მნიშვნელოვანი ამოცანა — დაეხმაროს ყველა მსურველს, შეიმეცნოს აქტიური სიცოცხლის ხანგრძლივობის რთული ხელოვნება, გააერთიანოს ხანდაზმულები, განაზოგადოს მათი უნიკალური გამოცდილება. კლუბის წევრები ესწრებიან ცნობილი მეცნიერების, ექიმების ლექციებს, ეწევიან საზოგადოებრივ საქმიანობას, აგროვებენ ხანდაზმულობის რეცეპტებს, ბევრს მოგზაურობენ. მათ მიერ შეგროვებული მასალები კი იბეჭდება ჟურნალში.

**— თქვენ საქველმოქმედო ორგანიზაციების საერთაშორისო კავშირის „სიკეთის სამყაროს“ მზრუნველთა საბჭოს ხელმძღვანელობთ. რას ნიშნავს თქვენთვის ასეთი საქმიანობა?**

— თითოეული ჯანსაღად მოაზროვნე ადამიანისთვის ცხოვრების ჯანსაღი წესი უნდა გულისხმობდეს არა მხოლოდ სწორ კვებას, სუნთქვას, მოძრაობით დატვირთვებს. ყველაზე მთავარია — სასულიერო და სულიერი მდგომარეობა. ყველა ეს შიმშილობა, ვარჯიშები მოწოდებულია მხოლოდ იმისთვის, რომ ხორცი შევასხათ ცხოვრებაში ადამიანის მთავარ დანიშნულებას — აკეთოს კეთილი საქმეები. მესმის, რომ არ შემიძლია, ვთქვათ, თავიდან ავიცილოთ გლობალური დათბობა ან ჩავერიოთ ამა თუ იმ გეოფიზიკურ, პოლიტიკურ პროცესებში. აი, რომ დავეხმაროთ სოციალურად დაუცველ ადამიანებს, შემიძლია და მინდა კიდეც. ამიტომ შევდივარ მოძრაობაში „სიკეთის სამყარო“. თანამოაზრეებთან ერთად ვახორციელებთ პროექტს „დავუბრუნოთ ბავშვებს ღიმილი“.

**— გვიამბეთ, გეთაყვა, ამ პროექტზეც.**

— ჩვენ ვეხმარებით ბავშვებს ყბა-სახის პათოლოგიის მძიმე ფორმებით. მთელს მსოფლიოში ათასობით პატარა იბადება მძიმე თანდაყოლილი დეფექტებით. გული გტკივა, მათ რომ უყურებ: კურდღლის ტუჩი, მგლის ხახა — დამახინჯებული სახეები, დამახინჯებული ბედი... ასეთ ბავშვებს ხომ გვერდს უვლიან, მათ დასცინიან. საჭიროა ამ ბავშვებს სასწრაფოდ, სქესობრივ მომწიფებამდე გაუკეთდეს ოპერაცია! ასეთ ოპერაციებს, რომლებიც სახეს ნორმალურ იერს უბრუნებენ, პლასტიკური ქირურგიის ინსტიტუტის ქირურგები აკეთებენ. ინსტიტუტს ვლადიმირ ვისარიონოვი ხელმძღვანელობს. თითოეული ოპერაცია 30, ზოგჯერ კი 60 ათასი ღირს. ჩვენ ვაგროვებთ სათანადო სახსრებს. საბედნიეროდ, არის მატერიალურად უზრუნველყოფილი და ამავე დროს ზნეობრივად წესიერი ხალხი, რომელიც ამ პატარებზე შეფობას კისრულობს.

5 წლის განმავლობაში ოპერაცია 800-ზე მეტ ბავშვს გაუკეთეს. მათ დღეს აღარც ახსოვთ, რომ სხვაგვარი სახეები ჰქონდათ...

## გიხაროდეთ ყოველი წუთი

**— გვითხარით, ბატონო ნიკოლაი, ასეთი მრავალმხრივი და დაძაბული საქმიანობის დროს თუ გაქვთ დასვენების წუთები? რისი გაკეთება გიყვართ ასეთ მომენტებში?**

— ყოველთვის მიყვარდა ფეხბურთის თამაში. ახლაც მიყვარს, თუმცა სახსრების მოქნილობა ისეთივე აღარაა. ჩვენთან უნივერსიტეტში ხუთშაბათობით, ზაფხულშიც და ზამთარშიც , მინდორზე გამოდიან ფეხბურთის გუნდები, მასწავლებლებიც კი თამაშობენ. ჩვენი ფაკულტეტის პროფესორი, სამოცდაათს რომ არის გადაცილებული, ისე დარბის — მე ვინ ვარ მასთან! მეორე გართობა — სიმღერაა. ბავშვობიდანვე მიყვარდა მამასთან ერთად ძველი რუსული სიმღერები, შემდეგ კი — კარგი საბჭოთა სიმღერები. ამ ცოტა ხნის წინათ დისკზე ჩავწერე ჩემი საყვარელი სიმღერები რუსულ და უკრაინულ ენებზე. მას „თქვენ მოგისმენიათ, როგორ მღერის დროზდოვი?“ ეწოდება. უკრაინული სიმღერების ჩაწერაში დამეხმარა ერთი კარგი მომღერალი ქალი კიევიდან. მიხარია, რომ ეს დისკი ბევრი მსმენელისთვის, მათ შორის ახალგაზრდობისთვის, „შინაური“ გახდა. ხალხი ჩვენს სიმღერებს აჰყვება ხოლმე, და ეს შესანიშნავია, რომ მას ხალხური სიმღერა აინტერესებს!

**— ბატონო ნიკოლაი, რას უსურვებდით ჩვენი ჟურნალის მკითხველებს?**

— ერთმა ბრძენმა კაცმა მითხრა: ცხოვრებაში ორი მთავარი თარიღია: დაბადების თარიღი და სიკვდილის თარიღი. ადამიანის მთავარი ამოცანაა — უხაროდეს თითოეული წუთი ამ ორი თარიღს შორის. და აი მეც, თითოეულს ვუსურვებ ისწავლოს სიცოცხლის სიხარული ყველაფრის მიუხედავად.

**ვალენტინა ეფიმოვა**

Лечебник

ფეხბურთი

# აზიის სახელით



**დრამატულად განვითარდა მოვლენები აზიის თასის გათამაშების ერთ-ერთ ნახევარფინალში, სადაც იაპონიამ კორეა პენალტების სერიაში დაამარცხა – 3:0 (ძირითადი დრო – 1:1, დამატებითი დრო – 2:2).**

აღსანიშნავია, რომ კორეელებმა ანგარიში 120-ე წუთზე გაათანაბრეს, თუმცა მატჩისშემდგომ ლატარიაში მეტოქის მეკარე ნარაზაკის ვერაფერი მოუხერხეს – მან ორი დარტყმა მოიგერია, ხოლო მესამე კარს ასცდა.

ფინალში ალბერტო ძაკერონის გუნდს დიდი ბრძოლა ელის ავსტრალიასთან, რომელიც უმოწყალოდ გაუსწორდა უზბეკეთს – 6:0. სატიტულო შეხვედრა 29 იანვარს გაიმართება.

ჩოგბურთი

# ზღაპრის დასასრული



**მსოფლიოს 46-ე ჩოგანი ალექსანდრე დოლგოპოლოვი მეორე უკრაინელია უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში, რომელმაც „დიდი მუზარადის“ ერთ-ერთი ტურნირის მეოთხედფინალამდე მიაღწია, თანაც როგორ: მელბურნის კორტებზე მიმდინარე ავსტრალიის ღია პირველობის წინა ეტაპებზე მან ხუთსეტიანი ძლევამოსილი მარათონული ბრძოლები გადაიტანა ჯო-ვილფრედ ცონგასთან და რობინ სოდერლინგთან.**

თუმცა, როგორც ყველა ამქვეყნიურ სიამეს, ამბიციური ხახოლის წინსვლასაც დაესვა წერტილი. მისი ცოდვა ენდი მარეიმ დაიდო – 7:5, 6:3, 6:7, 6:3. მისი მეტოქე ნახევარფინალში ესპანელი დავიდ ფერერი იქნება, რომელმაც სახელოვანი თანამემამულე რაფაელ ნადალი დაჯაბნა.

არანაკლებ მძაფრი დუელია მოსალოდნელი როჯერ ფედერერისა და შესანიშნავ ფიზიკურ კონდიციებში მყოფი ნოვაკ ჯოკოვიჩის წყვილში. შვეიცარიელმა გენიოსმა ცოლისძმის – სტანისლავ ვავრინკას წინააღმდეგობა გატეხა, სერბმა კი ჩეხ ტომაშ ბერდიხს გამოუყვანა წირვა.

რაც შეეხება ქალებს, ფინალში გასასვლელად ერთმანეთს შეხვდებიან კიმ კლისტერსი – ვერა ზვონარიოვა, ნა ლი – კაროლინ ვოზნიაცკი. ამ უკანასკნელმა მეოთხედფინალში ფრანჩესკა სკიავონე დაამარცხა, რომელიც წინა რაუნდში სვეტლანა კუზნეცოვასთან ერთად ასპარეზობის რეკორდის თანაავტორი გახდა – დასკვნითი პარტია იტალიელმა რუსს 16:14(!) მოუგო.

**გიორგი შოთაძე**

ხელბურთი

# ლოგიკური კვარტეტი

**შვედეთში მიმდინარე ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატის ნახევარფინალში ფრანგები, ესპანელები, ისლანდიელები და მასპინძლები გავიდნენ.**



ეს იმას ნიშნავს, რომ მოვლენები საერთაშორისო რეიტინგის შესაბამისად განვითარდა – ვერავინ იტყვის, რომ რომელიმე მათგანი სპორტის ამ სახეობის ელიტას არ მიეკუთვნება.

შეგახსენებთ, რომ რუსეთის გუნდი საერთოდ ვერ მოხვდა მუნდიალის ფინალურ ეტაპზე, ხოლო ნორვეგიის, ხორვატეთის, სერბეთისა და გერმანიის ძლიერმა ნაკრებებმა არასტაბილურად ითამაშეს.

რეტრო



### ნაადრევი შემოდგომა

**– თამაშს 1976 წელს დაანება თავი. მას შემდეგ სტადიონისადმი საშინელი ნოსტალგია დასჩემდა. ერთხელ, თბილისში ყოფნისას, სტადიონზე შევიდა. არავინ იყო. მოედნის ცენტრში გულაღმა დაწვა.** ძალიან დიდხანს იყო ამ მდგომარეობაში. რომ დაბრუნდა, ნამტირალევი მეჩვენა. ალბათ წარსულს იხსენებდა. ბეხა, ყიფიანი და გუცაევი 1971 წელს გამოჩნდნენ მოედანზე, მაშინ თბილისის „დინამო“ აუტსაიდერი იყო და უმაღლესი ლიგის დატოვების ერთ-ერთ რეალურ კანდიდატად ითვლებოდა. ყველაფერი ერევანში „არარატთან“ მატჩის დროს გადაწყდა. მაშინ ერთადერთი, გადამწყვეტი გოლი ბეხამ გაიტანა და დინამოელებიც გადაურჩნენ უმაღლესი ლიგიდან გავარდნას. ამ გოლისთვის ბეხა სამახსოვრო თასითაც კი დააჯილდოვეს.

ბეხა ბოლო დროს ძალიან დარდობდა, თავისი შესაძლებლობები ბოლომდე რომ ვერ გამოიყენა. უმართავი იყო, რეჟიმს სისტემატურად არღვევდა. ერთი სიტყვით, ძალიან ურჩობდა. ამ მხრივ, 1971 წლის ჟურნალ „დროშაში“ გამოქვეყნებულ სტატიაში, გერმანელ ფეხბურთელს უვე ზეელერს ადარებდნენ. საზღვარგარეთულმა პრესამ კი ბეხას სიძლიერის გამო „რუსული ტანკი“ შეარქვა. თვითმფრინავის ავადმყოფური შიში ჰქონდა და იქ ფეხიზელს ვერ ჩააჯენდით. ეს ყველამ იცოდა და უნდოდათ თუ არა, ანგარიშს უწევდნენ. ამას მისი თანაქალაქელის და უახლოესი მეგობრის თამაზ სტეფანიას გარდაცვალებაც დაემატა. თამაზი დიდი ფეხბურთელი იყო. 21 წლისა უკვე საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების კარს იცავდა. მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ არ დასცალდა – 1972 წლის 28 მარტს გორის გზაზე ავარიით გარდაიცვალა. ამან ბეხა ძალიან შეცვალა. სმას მოუხშირა. ხშირად ავყავდით ხოლმე თამაზის საფლავზე და იქ ღამეებს გვათენებინებდა. ბოლოს ბოლნისის, „სიონის“ მთავარ მწვრთნელად მუშაობდა. ძალიან ემოციური იყო. ორჯერ გადაიტანა მიკროინფარქტი. თუმცა, გული კიდევ გაუძლებდა, ფილტვზე სიმსივნე რომ არ გასჩენოდა.

# კაცი – კურიოზი

## ფირუზ (ბეხა) რეხვიაშვილი

### საბედისწერო კბილი

**– 1995 წელს ბეხა ისევ ავარიაში მოყვა. ჩაუტარდა გამოკვლევა და „ტომოგრამამ“ ფილტვზე მეოთხე სტადიის სიმსივნე აჩვენა, რაც უკვე დაღუპვას ნიშნავდა. ერთ დღეს ბეხა კბილებს რომ ისინჯავდა, აღმოჩნდა, რომ ერთი კბილი აკლდა.** ჩვენ გვითხრა, არ ვიცი როდის, მაგრამ კბილი მგონი გადავყლაპეო. მაშინ ეს ბეხას მორიგ ხუმრობად მივიჩნიეთ. ოპერაცია მაინც გაუკეთეთ და ნამდვილი კურიოზი ის იყო, რომ სიმსივნის ნაცვლად ფილტვში კბილი აღმოჩნდა. ონკოლოგიის ინსტიტუტის მთავარმა ექიმმა რეზო გაგუამ გვითხრა, საოცარია, ონკოლოგიის სამედიცინო პრაქტიკაში ასეთი შემთხვევა მეორე არისო. ერთი მოსკოვში მომხდარა. ვილაცას საყვარლისათვის საყურეები მოეპარა და ფაქტზე რომ არ დაეჭირათ, გადაუყლაპავს. საბოლოოოდ, ბეხა მაინც ფილტვის სიმსივნით გარდაიცვალა. ამჟამად მეორე, ჯანმრთელმა ფილტვმა უმტყუნა. საოცარი იყო მისი ავადმყოფობის ბოლო პერიოდი. სულ ლოცულობდა და მარხულობდა. მას თითქმის ყოველდღე აზიარებდა ბოლნისის ღვთისმშობლის შობის მონასტრის წინამძღვარი მღვდელ-მონაზონი სერაპიონ ჯიშკარიანი (ამჟამად მღეთის მონასტერში მოღვაწეობს). მამა სერაპიონი ჩვენი ოჯახის მეგობარი და ბეხას ნათლიაცაა. სწორედ მისი დამსახურებაა ბეხას ღვთისკენ მოქცევა. გარდაცვალებამდე მეტყველების უნარიც დაკარგა. თუმცა, სიკვდილს მშვიდად შეხვდა. მისი გარდაცვალებით გამოწვეულ სიცარიელეს კვლავ ვგრძნობთ ოჯახის წევრები თუ უბრალო ნაცნობები. ყველასთან პატარა ბავშვივით გულღია და მოსიყვარულე იყო.

**ელგუჯა გრიგალაშვილი**

დასასრული.
დასაწყისი იხ. „სრ“ № 15.



**P. S. წლეულს 20 იანვარს ბეხას 60 წელი შეუსრულდებოდა. ბოლნისის სასაფლაოს შესასვლელში ორ საფლავს დაინახავთ. მარცხნივ, თბილისის „დინამოს“ ყოფილი გოლკიპერი და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდული ნაკრების მეკარე თამაზ სტეფანია, ხოლო მარჯვნივ, თბილისის „დინამოს“ ყოფილი თავდამსხმელი ბეხა რეხვიაშვილი განისვენებენ. სიყრმის მეგობრები აქაც გვერდიგვერდ მისცემიან საუკუნო ძილს. მათ საფლავებს მოვლა-პატრონობა არ აკლია. დღე არ გავა, ბოლნისელებმა ჭიქა არ წაუქციონ და არ დალოცონ, მაგრამ ისინი მარტო ბოლნისელებს კი არა, მთელ საქართველოს დააკლდნენ.**

**ე. გ.**

ინტერნეტიდან

## ფიფა და უეფა — დამცველის როლში

**ფეხბურთის ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფამ) უკრაინის ფედერაციას მოსთხოვა, შეწყვიტოს ყველანაირი ქმედება თავისი ხელმძღვანელობის შეცვლაზე გრიგორი სურკისის სახით. ამავე დროს კიევს დაემუქრა თავის ორგანიზაციაში მისი წევრობის შეჩერებით.**

ფიფა აღნიშნავს უკრაინის ფედერაციის საქმიანობაში ხელისუფლების წარმომადგენლების ჩარევის და მის წევრებზე ზეწოლის ფაქტებს. დეკემბრის შუა რიცხვებში ჩაიშალა ფედერაციის კონგრესი, მასზე სურკისის გადაყენების მოთხოვნის წამოყენების გამო. ეს საკითხი კი კონგრესის დღის წესრიგში არ ყოფილა. ამის შემდეგ უკრაინის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი სერგეი სტროუჟენკო ფიფას წერილობით აცნობებს, რომ ფედერაციის 38 კოლექტიური წევრი მოითხოვს რიგგარეშე ასამბლეის მოწვევას, რომლის მთავარი საკითხი იქნება პრეზიდენტისადმი უნდობლობის გამოცხადება. ამან კი გამოიწვია ევროპის ფეხბურთის შტაბის (უეფა) დიდი აღშფოთება. მან უკრაინას მოუწოდა, შეწყვიტოს შინაგანი კონფლიქტები და საფრთხე არ შეუქმნას ქვეყანაში ევრო-2012-ის მომზადება-ჩატარებას.



ცნობილი გახდა ისიც, რომ ხელისუფლების წარმომადგენელთა და სხვა პირების ზეწოლით გაიმართა ფედერაციის წევრთა რაღაც სხდომები, რაც არ შეესაბამებოდა სარეგლამენტო მოთხოვნებს.

ფიფას და უეფას განცხადებებში ნათქვამია, რომ ისინი არ აღიარებენ უკრაინის ფეხბურთის არავითარ ახალ ხელმძღვანელობას, თუკი ის არჩეული იქნება ახლანდელის უფლებამოსილების ვადის გასვლამდე, ანუ 2012 წლამდე.

აღვნიშნავთ, რომ ამ მოთხოვნის იგნორირების შემთხვევაში უკრაინას შეუწყდება ფიფას და უეფას წევრობა, ხოლო მისი კლუბები მონაწილეობას ვერ მიიღებენ მათი ეგიდით გამართულ შეჯიბრებებში.

## ლიდერობს მთელი ჯგუფი

**ვეიკ-ან-ზეეში მიმდინარე საჭადრაკო სუპერტურნირზე მეცხრე ტურმა დიდი ცვლილებები გამოიწვია და მას ლიდერთა მთელი ჯგუფი ჩაუდგა სათავეში. კრამნიკმა დაამარცხა ლ' ამი. ნეპომნიაშჩი დამარცხდა სმიტსთან, არონიანმა დაჯაბნა შიროვი, ვან ხაომ კი – პონომარიოვი. ყაიმზე შეთანხმდნენ გრიშჩუკი – გირი, ვაშიე-ლაგრავი –კარლსენი, ნაკამურა – ანანდი.**

9 ტურის შემდეგ ლიდერობენ კრამნიკი, ანანდი, არონიანი, ნაკამურა – მათ 6-6 ქულა აქვთ, შემდეგ 5,5-5,5 ქულით მოდიან ვაშიე-ლაგრავი და კარლსენი, 4,5 ქულა აქვთ გირსა და ნეპომნიაშჩის, 4-4 ქულა – ვან ხაოსა და პონომარიოვს, 3-3 ქულა – ლ' ამსა და სმიტსს, 2,5-2,5 ქულა გრიშჩუკს და შიროვს.

## პლაჟი მოენატრა

**ცივ ისლანდიაში ქმართან, ფეხბურთელ გარდარ გუნლაუგსენთან დაბრუნებული თოვლის დედოფლად აღიარებული ასდის რანი, ამავე დროს კოსმეტიკის რეკლამასაც რომ ეწევა, ჟურნალისტებს უზიარებს თავის მოსაზრებებს:**

„ამჟამად გერმანულ ქალაქ უნტერჰაჰინგში ვცხოვრობთ, სადაც გარდარი თამაშობს მესამე ბუნდესლიგაში. ისლანდიაში კი ჩასული ვიყავი ჩემი ახალი კოსმეტიკური ხაზის IceQueen აქციაზე. სარეკლამო კამპანია ძალზე ხელსაყრელი გამოდგა, ხუთ დღეში ბევრი კონტრაქტი დავდეთ ამ პროდუქციის მიწოდებაზე“, – წაიტრაბახა ასდისმა.



ლამაზმანმა აღიარა, რომ ახლა კომერციულ პარტნიორებს ეძებს ბულგარეთში, სადაც რამდენიმე წელი ცხოვრობდა. „ვფიქრობ, ივნისში ზაფხულის შვებულებას ზღვაზე გავატარებ, ბულგარეთში ხომ ევროპის საუკეთესო პლაჟებია“.

◉ კალენდარი

# „პოეზიის 365 დღე“ — ძვირი სიამოვნება


25
სამშაბათი
იანვარი
09.00
10.00
11.00
12.00
13.00
14.00
15.00
16.00
17.00
18.00
პოეზიის 365 დღე

**„ტერენტი გრანელი წერდა: „მე პოეზიამ მაგრძნობინა, რომ სადღაც შორს არსებობს უკვდავების ცისფერი მხარე, რომელიც უდრის გაფრენას. მე არ მინდოდა სიცოცხლე, მე არ მინდოდა სიკვდილი, მე რაღაც სხვა მსურდა. ახლაც ვფიქრობ და მჯერა მესამე გზის არსებობის, როგორც იდუმალების“...**

ჩვენი მცდელობა და სურვილი, „პოეზიის 365 დღის“ ფონზე ყველა დღე უფრო პოეტური და ოპტიმისტური გაგითენდეთ, 2011 წელსაც ძალაში რჩება.

სასიამოვნო წელს და საინტერესო მომავალს გისურვებთ...“ — ასე მიმართავს მკითხველს შემდგენელი ჯგუფი პოეზიის კალენდრისა, რომლის წარდგინებაც საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საგამოფენო დარბაზში გაიმართა.

პოეზიის კალენდარი, რომელსაც **„პოეზიის 365 დღე“** ჰქვია, წლეულს მეორედ გამოიცა. პირველ გამოცემაში შესული იყო 100 ავტორის 365 ლექსი. ამჯერად კალენდარში შეტანილია 185 ავტორის 365 ლექსი.

პოეზიის კალენდრის იდეა ეკუთვნის **ნონა მამისეიშვილს,** დიზაინი — **მაკა ცომაიას,** რედაქტორია **თამარ ბოდოკია.**

კალენდარში გამოქვეყნებულია ცნობილი ქართველი პოეტების ლექსები, მათ შორისაა თანამედროვე ავტორთა პოეზია, ვისაც იცნობს ლიტერატურის მოყვარული საზოგადოება, ანდა, ახლა გამოდის ასპარეზზე. არიან დებიუტანტებიც. შერჩევისას რედაქტორები ლექსს რამდენიმე მოთხოვნას უყენებდნენ: ვინაიდან ბლოკნოტის ფორმის კალენდარია, რომლის გადაფურცვლით სამუშაო დღე უნდა დაიწყოს, მცირე ზომის ლექსმა ამაღლებული განწყობა უნდა შექმნას.



კალენდარი გაფორმებულია **გოგა ჩანადირის, პაატა ვარდანაშვილის, დავით ხიზანიშვილის, ბაქარ მეტრეველის, ანანო ძიძიგურის, ვასილ მაღლაფერიძისა და ნასტასია არაბულის** ფოტოებით. პროექტის ხელმძღვანელებს გაგრის, სოხუმის და ბედიის კადრები ნატო კორსანტიამ, ვახტანგ სურგულაძემ და ირაკლი მანაგაძემ მიაწოდეს.

კალენდარი კომპანია „სეზანმა“ დაბეჭდა, მაგრამ იდეის ავტორებმა სპონსორის მოძიება ვერ შეძლეს, რათა პოეტებს მაინც მიეღოთ იგი საჩუქრად. ამიტომ არტკაფე „ქარავანში“ პოეზიის მოყვარულებს კალენდრის შესაძენად 25 ლარის გადახდა მოუწევთ.

**ნატა ნიბლაძე**

◉ მეგობრობა — გზად და ხიდად

# ჩეხი ექიმის მეორე სამშობლო

**თბილისელებს თავიანთი უსაზღვრო ინტერნაციონალური მეგობრობით რომ მოაქვთ თავი, ეს სულაც არ არის ახალი ამბავი — ამ ტრადიციას საუკუნეთა წიაღში უდგას ფესვები, რომლებზეც მყარად დგას ერთა შორის მეგობრობის დიდებული ტაძარი.**

საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებთან დიდი ხანია გულთბილი მეგობრობა აკავშირებს თბილისურ „კავკასიურ სახლს“, რომლის თანამშრომლებსა და აქტიურ მხარდამჭერებს მჭიდრო ურთიერთობები აქვთ დედაქალაქის სომხურ, აზერბაიჯანულ, ასირიულ, გერმანულ, უკრაინულ, ბულგარულ, ესტონურ და სხვა ერთა დიასპორებთან, რომელთა შორის ღირსეული ადგილი უკავია ჩეხთა სათისტომო „ზლატა პრაღას“. კერძოდ, შარშან საზეიმოდ აღინიშნა საქართველოში მისი მოღვაწეობის 10 წლისთავი და საქართველოში მოღვაწე ჩეხი ლოტბარის რატილის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო. რამდენიმე დღის წინათ კი „კავკასიურმა სახლმა“ „ზლატა პრაღასთან“ ერთობლივად კიდევ ერთი, მეტად საგულისხმო ღონისძიება ჩაატარა — საზეიმო საღამო საქართველოში მოღვაწე ცნობილი ჩეხი ექიმის, კურორტოლოგისა და ეპიდემიოლოგის **ივანე პრიბილას** დაბადებიდან 250 წლისთავს მიეძღვნა.



იმ საღამოს „კავკასიურ სახლში“, რომელსაც ცნობილი პოეტი ნაირა გელაშვილი წლების მანძილზე ხელმძღვანელობს, ქართული ინტელიგენციის, საქართველოში ჩეხეთის საელჩოსა და სათვისტომო „ზლატა პრაგას“ უამრავმა წარმომადგენელმა მოიყარა თავი. საღამო შესავალი სიტყვით გახსნა ასოციაცია „ევროკავშირი-საქართველოს“ ასოციაციის პრეზიდენტმა **ჰაროლდ შმალცელმა,** რომელმაც, კერძოდ, აღნიშნა, რომ ივანე პრიბილას მეცნიერული დასკვნების საფუძველზე შესაძლებელი გახდა ბორჯომში საკურორტო მშენებლობის დაწყება, მისივე ინიციატივით დაიწყო სამხრეთ კავკასიაში პირველი სამხედრო ჰოსპიტალის და 25-კაციანი სამოქალაქო საავადმყოფოს მშენებლობა თბილისში, სადაც თავადვე მოღვაწეობდა. ივანე პრიბილა გახლდათ საქართველოს სამეფო ოჯახის ექიმი და რუსეთის იმპერატორის მკურნალი ექიმი მისი საქართველოში ყოფნისას.



სიტყვით გამოსულმა „კავკასიური სახლის“ ხელმძღვანელმა **ნაირა გელაშვილმა** მაღალი შეფასება მისცა ივანე პრიბილას სამედიცინო და საზოგადოებრივ მოღვაწეობას და, კერძოდ, აღნიშნა, რომ აუცილებელია ამ პიროვნებისადმი მიძღვნილი წიგნის გამოცემა. პროფესორმა **გურამ მგალობლიშვილმა** ხაზი გაუსვა ჩეხი ექიმის დიდ როლს თბილისის ბოტანიკური ბაღის გაშენების, ახალგაზრდა ქართველ მეან-გინეკოლოგთა აღზრდის საქმეში.

დამსწრეთა წინაშე გამოსულმა საქართველოში ჩეხეთის საელჩოს კონსულმა **დანა დენოვამ** გულითადი მადლობა გადაუხადა მასპინძლებს გულთბილი საღამოსთვის და, ამ ახლადჩამოსულ დიპლომატს, აღფრთოვანების დაფარვა არც უცდია იმ მეგობრული ატმოსფეროთი, რომელიც იმ საღამოს „კავკასიურ სახლში“ სუფევდა.

**ელგუჯა ნადარეიშვილი**

**სურათებზე: ივანე პრიბილა; (მარცხნიდან მარჯვნივ: ჰაროლდ შმალცელი, დანა დენოვა, ნაირა გელაშვილი, გურამ მგალობლიშვილი.**

ავტორის ფოტო.

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში“
გ. ახვლედიანის ქ. №19.
99-62-77; 899 32-85-76.

გახსენება

## სერგო იასონის ძე კუპატაძე



**ძვირფასო მამა! შარშან 27 იანვარს წმინდა ნინოს ხსენების დღეს დაგვტოვე და დედასთან ერთად დაიმკვიდრე ადგილი იმქვეყნიურ საუფლოში. ჩვენს გულებში დარდმა დაისადგურა. ძალიან განვიცდით, რომ შენი ნატვრა — დაუხმარებლად ფეხზე დავდგე და ეზოში გავიარო, ვერ შეგისრულეთ...**

**ყურადღება არ გაკლდა და სწორედ ამან გაგაძლებინა შენს ვაჟკაცურ ბუნებასთან ერთად.**

**ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სული. ამინ!**

შენი შვილები:

ელვერ, თორნიკე, რობერტ და ელზა კუპატაძეები ოჯახებით.

**ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის ეროვნული ცენტრის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მეოთხე უროლოგიური განყოფილების გამგის**

**გია ლომიძის**

**გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.**

◉ ინფორმაცია

# ინდოელები ფილმის გადაღებას საქართველოში გეგმავენ

**საქართველოში ბოლივუდური ფილმის გადაღებისთვის საჭირო გარემოს შესასწავლად ინდური საპროდიუსერო კომპანიის წარმომადგენლები ჩამოდიან.**

**ბოლივუდის პროდიუსერების ოფიციალური ვიზიტი საქართველოში 27 იანვარს შედგება.**

**ბოლივუდის დელეგაცია შეხვედრებს გამართავს სამთავრობო წრეების წარმომადგენლებთანაც.**

**პროგრამის თანახმად, ბოლივუდის დელეგაცია შეხვედრებს გამართავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრთან ვერა ქობალიასთან,**

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრთან ნიკოლოზ რურუასთან.**

**დელეგაცია შეხვედრას გამართავს, ასევე, სს „ქართული კინოს“ წარმომადგენელთან არჩილ მენაღარიშვილთან. იმავდროულად დაგეგმილია ქართული ფილმის „ჩემი ბებიას“ პრეზენტაცია (ქართული ფილმის ცენტრი).**

**— ბოლივუდში ბოლო დროს ძალიან პოპულარული გახდა ფილმების სხვადასხვა ქვეყნებში გადაღება. ამით ჩვენც დავინტერესდით და დავუკავშირდით ყველაზე დიდ საპროდიუსერო კომპანიებს, რომლებიც ბოლივუდური ფილმების გადაღებაზე მუშაობენ, — განაცხადა ორი თვის წინათ ვერა ქობალიამ.**

**მისივე განმარტებით, ბოლივუდური ფილმის საქართველოში გადაღება ტურიზმის განვითარებას და ახალი სამუშაო ადგილების შექმნას შეუწყობს ხელს, რადგან ასეთ შემთხვევაში ქვეყანაში ფილმზე მომუშავე რამდენიმე ათას პირს მოუწევს ჩამოსვლა.**

**კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრ ნიკოლოზ რურუას ბოლივუდური ფილმის საქართველოში გადაღება „სავსებით რეალურად“ მიაჩნია.**

ჯი-ეიჩ-ენი

◉ სულიერება

# ქართველთა განმანათლებელი მოციქულთა სწორი ქალწული ნინო



**27 იანვარს საქართველოს მართლმადიდებელი სამოციქულო ეკლესია დღესასწაულობს ქალწულ ნინოს ხსენების დღეს, რომელიც ნათესავი იყო წმინდა გიორგისა.**

**ქალწული ნინო არის ჩვენი წმინდა დედა, მოციქულთა თანასწორი, ქართველთა განმანათლებელი. საქართველო ითვლება ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად. სულიწმინდის მადლის მოფენის შემდეგ მოციქულებმა წილი ჰყარეს, თუ ვის რომელი ქვეყანა უნდა ერგებოდა საქადაგებლად.**

წმინდა მარიამს საქადაგებლად იბერია ხვდა... მაგრამ, როდესაც დედა ღვთისამ დააპირა წამოსვლა, ანგელოზი გამოეცხადა მას და უთხრა: „ნუ განეშორები იერუსალიმს, ხვდომილი ქვეყანა შენი განათლების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ“. ღვთისმშობელმა მეუფება სწორედ ქალის – კერძოდ კაბადოკიელი ასული ნინოს მეშვეობით განამტკიცა საქართველოში.

აი, რას წერს წმინდა ილია მართალი (ჭავჭავაძე): „მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ახალმა მშვენიერმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალი ცხოვრებისთვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალ აღთქმას, შეუერთა ძველისგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისთვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მანამ ადამიანი არსებობს: შეუერთა მამული და ეროვნება...“

წმინდა ნინოს ცხოვრება მისმა უახლოესმა თანაშემწეებმა სალომე უჯარმელმა და პეროჟავრა სივნიელმა ჩაწერეს, რომელთა ხსენება 28 იანვარსაა.

**გიული ლიპარტია**

◉ დღის კალენდარი

27 იანვარი

**ხსენება წმიდისა დედისა ჩვენისა ნინო მოციქულთა სწორისა, ქართველთა განმანათლებელისა. ღირსთა მამათა ჩვენთა, რომელნი მოისრნენ სარკინოზთაგან სინასა და რაითას: ესაიასი, საბასი, მოსესი და მოწაფისა მისისა მოსესი, იერემიასი, პავლესი, ადამისა, სერგისა, დომნესი, პროკლესი (IV). ღირსი იოსებ რაითელისა (IV); ღირსი თეოდულესი (V); ღირსი სტეფანესი (VIII).**



ამოდის 07.18
ჩადის 17.08



ამოდის 05.44
ჩადის 14.14

## დაიბადნენ:

**1571 – შაჰ აბას I,** ირანის შაჰი. გარდაიცვალა 1629 წელს.
**1756 – ვოლფგანგ ამადეუს მოცარტი,** დიდი ავსტრიელი კომპოზიტორი. გარდაიცვალა 1791 წელს.
**1775 – ფრიდრიხ შელინგი,** გერმანელი ფილოსოფოსი.
**1826 – მიხაილ სალტიკოვ-შჩედრინი,** რუსი სატირიკოსი მწერალი, გარდაიცვალა 1889 წელს.
**1832 – ლუის კეროლი (ჩარლზ დოჯსონი),** მსოფლიოში ცნობილი წიგნის „ალისა საოცრებათა ქვეყანაში“ ავტორი. გარდაიცვალა 1898 წელს.
**1859 – ვილჰელმ II,** გერმანიის მესამე იმპერატორი და პრუსიის მეფე. გარდაიცვალა 1941 წელს.
**1859 – ილია ერენბურგი,** რუსეთელი საბჭოთა მწერალი. გარდაიცვალა 1967 წელს.
**1903 – ჯონ ეკლსი,** ავსტრალიელი ფიზიოლოგი, ნობელის პრემიის ლაურეატი.
**1926 – შოთა ყავლაშვილი,** არქიტექტორი, რუსთაველის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1998 წელს.
1923 – **ირაკლი გოცირიძე,** ჟურნალისტი. გარდაიცვალა 2004 წელს.

## გარდაიცვალნენ:

**1731 – ბართოლომეო კრისტოფორი,** იტალიელი მუსიკალური ოსტატი – ფორტეპიანოს გამომგონებელი. დაიბადა 1709 წელს.
**1901 – ჯუზეპე ვერდი,** დიდი იტალიელი კომპოზიტორი.
**1907 – დიმიტრი მენდელეევი,** დიდი მეცნიერი – ქიმიკოსი, ელემენტთა პერიოდული კანონის აღმომჩენი. დაიბადა 1834 წელს.
**1940 – ისააკ ბაბელი,** რუსეთელი რეპრესირებული მწერალი. დაიბადა 1894 წელს.
**1983 – ლუი დე ფიუნესი,** ფრანგი კინომსახიობი-კომიკოსი. დაიბადა 1914 წელს.

## მოვლენები:

**1302** – იტალიელი მწერალი დანტე ალიგიერი ფლორენციიდან განდევნეს და სიკვდილი მიუსაჯეს.
**1593** – ჯორდანო ბრუნო ინკვიზიციის საპყრობილეში ჩააგდეს.
**1725** – მომაკვდავმა პეტრე I-მა ქაღალდი და კალამი მოითხოვა, მაგრამ მხოლოდ ორი სიტყვის დაწერა მოასწრო: „მიეცით ყველაფერი“, მაგრამ ვის, დღემდე უცნობია.
**1897** – სანკტ-პეტერბურგში გაიმართა ჩაიკოვსკის ბალეტის „გედების ტბის“ პრემიერა.
**1926** – ლონდონში შოტლანდიელმა გამომგონებელმა ჯონ ბერდმა პირველად უჩვენა საზოგადოებას ტელევიზორი, რომელიც გამოსახულების გადაცემის მექანიკური პრინციპით მუშაობდა.
**1983** – იაპონიაში გაიჭრა მსოფლიოში ყველაზე გრძელი სარკინიგზო გვირაბი, რომელიც წყალქვეშ გადის და ორ კუნძულს – ჰონსიუს და ჰოკაიდოს აერთებს.

**ღირსსახსოვარი დღეები:**
**ბელარუსი** – მეცნიერების დღე.
**ვიეტნამი** – მშვიდობის დღე.
**ნაციზმის მსხვერპლთა ხსოვნის დღე.**

**მედიანიუსი**

◉ ცნობისმოყვარეთათვის

# სად, რა, როდის?

● ის შეიძლება იყოს მოწონების ან დაწუნების გამომხატველი, უფრო ხშირად კი უზრდელობად მიიჩნევა. მისი გაკეთება შეიძლება ხელის რამდენიმე თითით, ერთი თითითაც ან თითების გარეშეც. ზოგიერთი კი ამისთვის სპეციალური მოწყობილობას იყენებს: ესენი არიან პოლიციელები და მსაჯები, რომლებიც სასტვენს იყენებენ.

● თავდაპირველად ბერძნები ასე მთელ აფრიკას უწოდებდნენ, შემდეგ კი კონტინენტის ჩრდილოეთ სანაპიროს. ახლა კი ეს სახელი ჰქვია მხოლოდ ერთ სახელმწიფოს – ლიბიას.

● ჯონ გლენი ყველაზე ხანდაზმული კოსმონავტია მსოფლიოში. ის კოსმოსში 77 წლის ასაკში გაფრინდა.

● რუსეთის მეფე ნიკოლოზ II-ს 15 ათასი მსახური ჰყავდა. მას 5 სამეფო მატარებელი და 7 სასახლე ჰქონდა.

● ალექსანდრე დიუმა-უფროსის პაპა მარკიზი იყო, ბებია კი – შავკანიანი მონა ქალი.

● პეტრე I სოფელ ლესნოისთან ბრძოლას „პოლტავის ბრძოლის დედას“ უწოდებდა. იგი 9 თვეს გრძელდებოდა და შვედების განადგურებით დამთავრდა. „ლესნოიმ პოლტავა შვა“, – ამბობდნენ მაშინ.

● ჰოლანდიელებმა გამოიყენეს ლათინური სიტყვა „სიმშვიდე“ და შექმნეს „დამამშვიდებელი ქაღალდი“, რომელსაც ჩვენ ქვითარს ვუწოდებთ.



## ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი

| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.8089 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4398 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.8924 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.0469 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.9680 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.2231 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.2495 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.2484 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.6612 ლარი |



## ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | -2 – +5 |
| ქუთაისი. | +4 – +13 |
| ბათუმი. | +3 – +15 |
| ზუგდიდი. | +3 – +14 |
| თელავი. | -3 – +6 |

◉ ანეკდოტები

ჩრდილოეთი პოლუსი. ყინულის უზარმაზარ ნატეხზე თეთრი დათვი ზის, მის გარშემო კი ბელი ხტის და დარბის.
– დედი, ჩვენს სანათესაოში რუხი დათვები არიან?
– არა, შვილო.
– გრიზლები?
– არა, შვილო, არა.
– თუნდაც პანდები ან კოალები?
– არა, არ ყოფილან ასეთები...
– მაშინ რატომ ვიყინები ასე?



* * *

წყვილი ქუჩაში მიდის. ბიჭი ხარბი მზერით მიაცილებს გვერდით ჩავლილ მკერდსავსე ქალს.

გოგომ დაიჭირა მისი მზერა და ეკითხება: „მერე რა? გიღირდა ეს ნერწყვის ყლაპვა იმ ქოთნებად, ამისთვის სახლში რომ მიიიღებ?“

* * *

რა სისულელეც არ უნდა მოიფიქროს თავმა, რაც არ უნდა თქვას ავმა ენამ, რაც არ უნდა ჩაიდინონ მრუდე ხელებმა, სადაც არ უნდა მიგიყვანონ გადარეულმა ფეხებმა, ყველასა და ყველაფრისთვის პასუხს აგებს... უკანალი...

* * *

და აი, წავიდა ოცდამეერთე საუკუნის მეორე ათწლეული. სახლში 3 ტელევიზორი, 3 კომპიუტერი, 6 მობილური ტელეფონი და 1 წიგნია.

◉ კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძობულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 814 33-33-24

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.